ლელა მეტრეველი

ადევნებული ფოთლებს რითმები

გამომცემლობა "საქართველო"
თბილისი, 2003

УДК 894. 631 _ 1
მ 596

რედაქტორი ზაურ კილაძე

მხატვარი ჯონი გოგიბერიშვილი

99928-29-24-9 © გამომცემლობა "საქართველო" 2003
© ლელა მეტრეველი

წიგნი გამოვიდა ავტორის ხარჯით

დედოფლის მონოლოგი



დედოფლის მონოლოგი

მე სულ მეგონა, იმისათვის გაჩენილი ვარ,
ცად ვიფრინო და მერცხალივით შევკრა კამარა.
... გამადედოფლეს და ამქვეყნად დარჩენილი ვარ
ხან ჭკვიანი და ხან უჭკუო მეფის ამარა.

კარის პოეტთა მე ვარ მუზა და შთაგონება,
გარს მეხვევიან რაინდები, სეფექალები,
გულს მაინც მაწევს კაეშანი და მაგონდება
'ჩემი რჩეულის ღამესავით შავი თვალები.

დედოფალი და ბედნიერი? _ არ დაიჯეროთ,
ოქროს გვირგვინქვეშ იფერფლება ჩემი სინაზე,
სხვებს შეუძლიათ, სიყვარულით გული იჯერონ,
მე _ ვალი მადევს სამშობლოს და მეფის წინაშე.

ირგვლივ ირევა უამრავი ცრუ და ორპირი,
თავს ვიიმედებ, რომ იქნება ბოლო კეთილი,
ზოგჯერ სიცოცხლეს ვეთ=ხოვები უარყოფილი
და მიყრუებულ მონასტერში გამოკეტილი.

აქ, სასახლეში, დაუნდობლად იღვრება სისხლი,
სანატრელია გამოწვდილი ხელი მეგობრის,
ქვეყნად დედოფლის გვირგვინისკენ მრავალი ილტვის
და ცოტამ იცის, რა მძიმეა ტვირთი დედოფლის.

* * * *

უკვე დაზამთრდა და კარადებში
გადაინაცვლეს ჭრელმა კაბებმა,
ტელეფონისკენ მიქცეულ ყურებს
ისევ შენი ხმის უნდათ გაგება.

თავს არ მავიწყებს ძველი ტკივილი
და მოგონებებს აწმყოში იხმობს,
ცისფერი სევდით გაჯერებული
ისევ მიჰყვება სტრიქონი სტრიქონს.

შენ და ლექსები... _ თორემ ცხოვრება
ამაოებად იქცევა მყისვე
და, სადაც უნდა მატაროს ბედმა,
ძველ სიყვარულთან ვბრუნდები ისევ.

* * *

როგორ შეიძლება ასე მოხდეს,
გასაგებია _
გაურითმავი აზრი ლექსი არ არის,
მაგრამ გარითმული უაზრობა თუ არის ლექსი?

* * *

მიდის ცხოვრება _ ხან ბობოქარი,
ხანაც მშვიდი და წყნარი.
შემოდგომაა. მიწაზე დაყრილ
ფოთლებს იტაცებს ქარი.

ვითავისებ და ვისრუტავ სევდას
გაშიშვლებული ტოტის,
რაღაც მუსიკა სულში ხმიანობს
და მე ძლივს ვარჩევ მოტივს.

მერე თანდათან ხმა ძლიერდება,
უკვე სიტყვებიც მესმის.
... ხანდახან ასე, ხანდახან ასე,
ასედაც ჩნდება ლექსი.

* * *

მოიზლაზნება ტყიდან საღამო,
თან აფახულებს ბინდისფერ თვალებს
და ფანჯარასთან ფიჭვების ფერხულს
გაშლილ მკლავებქვეშ უძვრება მთვარე.

დაფარფატებენ მარმაშის ფარდად
ჩრდილები მთვარის ვერცხლისფერ შუქზე,
ვზივართ და შენი ცხოვრების ამბავს
ცრემლგარეული ღიმილით ვუსმენ.

მიხარია, რომ გამიხსენ გული,
ჩემი მგონია მთელი ქვეყანა,
მაგრამ არ მიყვარს არც ერთი ქალი,
ვისთანაც სადმე ბედმა შეგყარა.

მოსაფერებლად გვიწვდიან ხელებს
ხეები მთვარის ვერცხლისფერ შუქზე
და შენს საყვარელ სისულელეებს
ცრემლგარეული ღიმილით ვუსმენ.

* * *

არ გვანებივრებს ხშირად ცხოვრება,
სულაც არ ვგავართ ედემში მტრედებს...
გაჭრილი ვაშლის ნახევარი ვარ
და ჩემს ნახევარს სიზმრებში ვეძებ.

ცხადში კი მარყევს ცხოვრების პროზა
პოეტად, თანაც ქალად გაჩენილს
და ევედრება უფალს შენდობას
ხსოვნის ტაძარში თაფლის სანთელი.

ვინღა მაღირსებს მწველ სხივებს მზისას,
მკრთალი ნათელი მერგება მთვარის,
დარჩენილია უფსკრულის მიღმა
ჩვეულებრივი ცხოვრება ქალის.

მაინც, არ ძალმიძს რადგან სხვაგვარად,
სულსაც, სხეულსაც სიყვარულს ვწირავ
და დავაბიჯებ მთელი სიცოცხლე
ოცნების ღია სამარის პირას.

* * *

დღეს მაშინდელი წვიმებიც მათბობს
და შემოდგომის დილა-ბინდები,
ვინ იცის, ახლაც გველოდებიან
ჩვენი ლოდები, ჩვენი შინდები.

იქნება გვნატრობს მიმკრთალი მთვარე,
იქნება ახსოვთ ხეებს ირიბებს,
თუ ხეტიალით დაღლილნი როგორ
მივუყვებოდით ვიწრო ბილიკებს.

იქნებ გვიგონებს ზეცის ლაჟვარდი
გულს მიბნეული ღრუბლის ქულებით,
როგორ ვცხოვრობდით ერთმანეთთან და
მთელ სამყაროსთან შენივთულები.

ამიტომ გვიხმობს ალბათ აქამდე
იმ შემოდგომის დილა-ბინდები
და სიყვარულით სუნთქავენ კვლავაც
ჩვენი ლოდები, ჩვენი შინდები.

* * *

არ იგონებ ზოგჯერ დღეებს
დავიწყებულს, წაშლილს,
დაუბერავს უცებ ქარი,
მოგონებებს აშლის.

გამოკრთება ერთი წამი,
უმნიშვნელო თუნდაც
და შენივე სულის ნამსხვრევს
დაგიბრუნებს ხურდად.

გადასწვდება წარსულს მზერა
სინანულით სავსე:
"ნეტავ მაშინ რად არ ვიყავ
გამოცდილი ასე".

რას გახდები? მხოლოდ დარდი
ცუდუბრალოდ დაგღლის,_
იმ ტილოზე საღებავებს
    ვერ შეუცვლი ადგილს.

ერთი ლექსის გამო

"...ჰოი, ცხოვრებავ,
ხან ბრილიანტივით ბრწყინავ,
მაგრამ
ნახშირი ხარ..."
თამარ გაბროშვილი

იბადები _ იმედები
გენიოსებს გატოლებს,
მერე აწყობთ შენ და ღმერთი
ნახშირბადის ატომებს.

ტეტრაედრი აიგება? _
მიიღება ალმასი,
ბრილიანტად გაშლიფული
იკაშკაშებს მარადის.

მაგრამ თუკი ვერ გათვალე
ოთხივ კუთხით მანძილი,
სამწუხაროდ, შემოგრჩება
ხელში მხოლოდ ნახშირი.

ვისაც უნდა, გაუხარდეს,
ვისაც უნდა, ეწყინოს,
მე გისურვებ, შენს სტრიქონებს
ბრილიანტად ებრწყინოს.

* * *

გერმანე თალაკვაძის ხსოვნას

ოცდამეერთე საუკუნეა _
სულაც არ ველით ამინდებს მზიანს...
თქვენ მეოცეში მეუბნებოდით,
რომ დავიბადე ძალიან გვიან.

ვერა ვგუობდი სამყაროს შეშლილს,
შიგ "გულში მჭირდა" ყველა ჭრილობა
და გაოცებას იწვევდა თქვენში
ჩემი ბავშვური გულუბრყვილობა.

არ მექცეოდა ბედი შვილივით,
მისთვის ყოველთვის ვიყავი გერი,
მაინც მინდოდა, ზღაპრის ქვეყანას
არ დაეკარგა სუნი და ფერი.

ოცნებებს ჩემსას ითმენდა თქვენი
თბილი და ბევრის მნახველი მზერა...
მე აღარ მჯერა დღეს ბევრი რამის,
მაგრამ სიკეთის თქვენს გამო მჯერა

და, სამუდამო ძილის მხარეში,
ჩემი ფიქრების დაგდევთ ამალა.
"ღვთის, სიყვარულის, ცრემლის გარეშე",
გაურანდავი ლექსის ამარა,

მე ვეგებები ოცდამეერთეს,
რომ არ გვპირდება ამინდებს მზიანს...
თქვენ დაიბადეთ ძალიან ადრე,
მე დავიბადე ძალიან გვიან.

* * *

არც მეწყერი მოვარდნილი, არც გაფრენილ
ნალებიდან ნაპერწკლების კვესა,
ლექსი ჩემთვის საწვიმარი ღრუბელია,
ცრემლები რომ წვეთავს.

ცას მოწყდება, დაეცემა ჭრილობაზე
ტკივილად და შვებად,
ლექსი-ცრემლი, პოეტების მოგონილი
მეთერთმეტე მცნება.

შემოდგომა

ერთგულ მსმენელად მაინც გამიხდი
და შემოდგომის გიამბობ ამბავს:
ეჭვის და ვნების სამოსს გავიხდი,
მშვიდი სინაზის ჩავიცვამ კაბას;

არც სიცხით დაგწვავ, არც შეგაცივებ,
გამოგარიდებ ქარს, გულის მმუსრავს;
ჭრელი ფოთლების ფარდაგს დაგიგებ,
მწიფე ნაყოფით აგივსებ სუფრას;

კუნელის ბუჩქებს ცეცხლად აგინთებ,
თრიმლის ფოთლების დაგადგამ გვირგვინს,
ჩაგკიდებ ხელს და დაისის მზისკენ
ჰორიზონტამდე შენს გვერდით ვივლი.

...მაინც ზუზუნებს ფიქრი ისრებად:
ვიცი, ოდესმე დადგები, წამო,
როს ჩემი ოქრო ვერცხლად იქცევა
ჩასაფრებული დეკემბრის გამო.

სიყვარულის ფრაგმენტები

"ნუ გადაჰყევი სამსახურს, გეყო,
იკითხე, თარგმნე, ლექსები წერე!
მწარედ ინანებ... წარსულის ექოდ
გაგახსენდები დიდი ხნის მერე".

"სხვისთვის ნუ ცხოვრობ, იცხოვრე შენთვის,
ვისაც როგორ სურს, ისე იაროს!"
"მინდა (თუ ამას სურვილი ეთქმის!)
ავად გახდე და მე მოგიარო".

"მე მენანება ყოველი წელი,
რაც კი უშენოდ წარსულში დარჩა".
"ზოგჯერ სიცოცხლის დასასრულს ელი
და გაზაფხული მოდგება კართან".

"შეხედე, თოვლი უკვე დამდნარა,
ყური მიუგდე იების სიცილს!"
ო, სიყვარულის ახსნა ამგვარად
ამქვეყნად მხოლოდ შენ ერთმა იცი.

* * *

გათენებას ჩიტები ჭიკჭიკით ხვდებიან,
მე _ შიშით:
_ დღეს რომელ ეკალს წამოვეგები?

* * *

რკალად ეკვრიან ძველისძველ მცხეთას
აქეთ არაგვი და იქით _ მტკვარი
და ზედაზნიდან სამება მოჩანს:
სვეტიცხოველი, სამთავრო, ჯვარი.

ტყით ამოგებულ ჰამაკს ჰგავს მიწა
და უსასრულო ნისლში ირწევა,
\ისე ახლოს ვარ ცასთან და ღმერთთან,
საცაა, ხელი ღრუბლებს მისწვდება.

მესაუბრება თითქოს ზეციდან
სული _ სიმშვიდის მომფენ-მთოველი
და ზედაზნიდან სამება მოჩანს:
ჯვარი, სამთავრო, სვეტიცხოველი.

მონათხრობები

1

მიწისძვრამ სახლი რომ შეაზანზარა,
ერთადერთი რამ გავიფიქრე:
"უჩემოდ დარჩა..."

2

რაკი დამჩემდა ხელის კანკალი,
ოქროს თევზი არ მოჰყვება ბადეს,
ცას გაუშლია თალხი თავშალი
და თავსხმა წვიმის მოლოდინს ბადებს.
შენ მოგაშურებ, რომ შეგეფარო,
ადევნებული წარსულის ლანდებს,
რას იზამ, _ იტევს დედა-სამყარო
წყლისა და ცეცხლის უცნაურ ტანდემს.

3

ნუ გამიწყრები, ლოდინით მოღლილს,
თუ ვერ მოგიძღვნი **რითმის ალმასებს,

უშენობისგან შენს კაბებს ვკოცნი
და კარადაში ფრთხილად ვალაგებ.

აღარ ციმციმებს ჩემთვის არილი,
ოთახი იქცა ნივთების გროვად,
გავალ და დაღმართს ცალად ჩავივლი,
არავის ველი... არავინ მოვა...

მახსოვს შავ თმებში ნავარდი ქარის
და წამწამების უღონო დახრა,
ვგრძნობ: დაუწერელ კანონის ძალით,
შენ უნდა იყო ჩემს გვერდით ახლა.

ტანს იბერტყავენ სველი რტოები,
ისმის ხეების ნეტარი ოხვრა,
მე კი უშენოდ, თუნდაც დროებით,
თვით სამოთხეში არ მიღირს ყოფნა.

4

შუბლიდან იყრი კულულებს ურჩებს,
გაურბი გუნდებს, შენკენ გასროლილს

და გალურჯებულს ყინვისგან ტუჩებს
აკვდება თოვლის ცივი ამბორი.

თუნდ უსასრულოდ გაგრძელდეს თოვა
და დღეს წაებას დღე უამინდო,
მე გაზაფხულის მზესავით მოვალ,
გათოშილ სულს და სხეულს გაგითბობ.

* * *

თაროზე იდე _წყნარად და მშვიდად _
ულამაზესი შანდალი ბროლის,
ბრწყინავდი, მაგრამ კიდეც ყინავდი,
ვერ მოგეძებნა ტოლი და სწორი

და, შენი ყოფნის გასამართლებლად,
მე ვგროვდებოდი სკების წიაღში,
რადგან ვიცოდი, სულს შთაგბერავდა
სულ პაწაწინა სანთლის ციაგი.

* * *

შენ აუარე გვერდი დასაწყისს,
ყველაფერს იწყებ ახლა ბოლოდან...
რა იქნებოდა, ეს სიყვარული
როცა მინდოდა, მაშინ მქონოდა.

ქალს

მარტო თუ დარჩი,
შეგიძლია მოგონებებით იცხოვრო,
რაღაც შეთხზა,
თუნდაც შიოლა გამოიგონო,
მაგრამ თუ ქმარი გყავს,
რაღას იზამ?
უკვე ყველასათვის ნათელია შენი ფასი,
რომელიც ამ ერთი კაცით განისაზღვრება.
თავი რით ინუგეშო?

ობიექტური რეალობა _ კონკრეტული ფასი
ზოგს ეძვირება, ზოგს ეიაფება.
ყოფნა-არყოფნის ტოლფასია პასუხი კითხვაზე:
შენ საით, ვისკენ?!

საყვედური

მე ისეთი რა ვარ? _
ტემპერატურის მკვეთრ და
მუდმივ ცვალებადობას
ლითონებიც კი ვერ უძლებენ.

ქართველები

დამოუკიდებლობაში ისე შევაბიჯეთ,
როგორც განსაწმენდელში,
აღმოვჩნდით კი უზარმაზარ სარეცხ მანქანაში,
რომელშიც არც წყალია, არც საპონი,
მხოლოდ ძრავა ტრიალებს
და ჩვენც კედლებს ვეხლებით,
საკუთარ და სხვის ჭუჭყში აზელილები.
ყველაფერს უთავბოლო დიასახლისს
ვაბრალებთ,
ველით, იქნებ რომელიმე მეზობელმა
შემოიაროს
და ძრავა გამორთოს,
რომ როგორმე მაღლა ამოვბობღდეთ,
ან უკეთესი _
თბილი წყალი და სარეცხი ფხვნილი გამოიმეტოს,
მანქანა კი ავტომატურ რეჟიმში ჩართოს,
რომ ცოტა ხანში
გასუფთავებულ-გატკიცინებულნი
მოვევლინოთ ქვეყნიერებას.
როგორ არ გავიხსენო:
"ნეტარ არიან მორწმუნენი "...

* * *

როცა უდროობის, უყურადღებობის
ან მოთხოვნის დაბალი დონის გამო
რაღაც იმაზე უარესად გავაკეთე,
ვიდრე შემეძლო,
მერე მწარედ ვინანე _
ერთი ადამიანი მაინც გამოჩნდა,
ვისიც შემრცხვა.

ოქტომბერი

მოწყდება უპეს ცრემლი ობოლი
და გამოიხმობს გულიდან სტრიქონს,
გაეკიდება ფოთოლს ფოთოლი,
რომ სიკვდილშიაც მის გვერდით იყოს.

მოიგონებენ ძვირფას სახელებს
ადევნებული ფოთლებს რითმები,
ფერთა კვდომა კი მწარედ გახსენებს:
მიწა იყავ და მიწად იქცევი!



პატარა გოგოს სიყვარული

რას გააწყობ? გაუყვები
ბილიკს, უკვე გათელილს,
თავში ერთი სახელია,
გულშიც _ ერთი სახელი,

მაგრამ გრძნობას როგორ გათქვამ
იმ "სულელის" წინაშე,
მწარე სიტყვით ჩაანაცვლებ
დაგუბებულ სინაზეს,

როლს მოირგებ _ თავნებას და
ცოტა შარახვეტიას,
ვერ მიხვდები, სევდა ნისლად
რატომ შემოგეხვია,

გამოარღვევს გულის ფიცარს
დაგროვილი სინაზე
და ცრემლებად დაიღვრები
იმ "სულელის" წინაშე.

კახეთი

სიცხით დაბუგულ მინდორზე
მაინც ღაღანებს გვირილა.
თუ ჩემთან ყოფნას ინდომებ,
გადაგეშლები ღიმილად.

აგემოვნებენ მზის ქარვას
ზვრები ალაზნის ნაპირზე.
სიყვარულს ვეღარ დავმალავ,
რასაც არ უნდა დამპირდნენ.

შევიფრთხიალებ ხოხბისებრ
შავი თვალების მახეში,
ბროწეულების კოცონებს
როცა დაანთებს კახეთი.

* * *

ცხოვრებისეული გამოცდილება:
ბედნიერებას ყოველთვის აქვს დასასრული,
უბედურებას დასასრული არა აქვს.

ხელოსან პოეტს

მაგ უნაკლოდ ნაგებ
ყინულოვან სასახლეს
სამხრეთის ქოხი მირჩევნია:
იქ მზე აცხუნებს,
ბალახი მწვანეა და
ყაყაჩო _ წითელი.

უკანასკნელი სიმღერა

ვაჟა- ფშაველას

აღარც ქალი ჩანს მზისფერი,
აღარც იმედი ხვალის,
სულიღა დავრჩი შიშველი,
შეწყვილებული ბალიშს.
ტანზე მაყრია სირსველი
სოფლის _ ტკბილის და მწარის,

ახლა თუ რამე მიშველის,_
სუნი ბალახის მწვანის.
...რას დარდობს ხმელი წიფელი
შორს, ფშავის ტყეში მდგარი?

* * *

ახლა მანდ, შენთან, ნეტავ იგრძნობა
ოქტომბრის ბოლოს სუსხი?
თუ ამქვეყნიურ უამინდობას
ხარკს აღარაფრით უხდი?

ახლა შენამდე ნეტავ თუ აღწევს
ჩემი ცრემლები ცხელი,
გულზე ლოდივით მძიმედ თუ გაწევს
ეს ღამეები ბნელი?

ხედავ? ირხევა ქარში რტოები,
ჩემო ტკივილო ძველო...
არ გენატრება ყაყაჩოებით
გადაჩითული მდელო?

თუ ამჩნევ ფოთლებს, ყვითლად შეფერილს,
ცად ვარსკვლავების ციმციმს? _
მივხვდები, როცა ისევ შევხვდებით,
დღეს კი გიშველო რითი?

* * *

რა უდროო დროს შემოგაღამდა,
ჩემი ცხოვრების აღმართ-დაღმართო...
მე უსხეულო სული მიყვარდა
და ლექსებს ვწერდი უმისამართოს.

მე ქარსაფარი ზოლი ვიყავი
და ვუჩრდილავდი ბაღს ზამბახიანს,
თუნდაც ტკივილით სხვებზე მეტობა
ქვეყანამ მაინც არ მაპატია.

ყინვამ დაუზრო კვირტები სტრიქონს
და არსათქმელი ითქვა რამდენი...
რატომ კისრულობს, მსაჯული იყოს
თვითონ ათასი ცოდვის ჩამდენი?

დუმალას

დუმალავ, დუმდი თუ იდუმალი
ამბების თხრობას ცდილობდი მუდამ?
ვერ გაიკვლიე ზღვისკენ გზა-კვალი,
თუ ამ მხარეში დარჩენა გსურდა?

თუ შეგირთავს და შეგიწოვია
ნაკადულები, ნაჟური მთიდან?
ხანდახან მაინც თუ გიშფოთია
ადიდებული არაგვივითა?

გგონია, ახლა სიჩუმის დროა,
ხევში ჩაკარგულ-გადამალულო,
თუ მდინარე ხარ, საშიში როა
სწორედ იმიტომ, რომ არ ხმაურობს?

* * *

ჩემი ცრემლის ხმის აღქმაზე რომ
მიდგება საქმე,
შენ გენიოსი მუსიკოსის
სმენა გიჩნდება.

* * *

ცისკიდურს კენტი ვარსკვლავი შვენის...
ამხელა ღამეს რა გაათენებს?
გაუცინარი ხელმწიფე ჩემი
მოვა, მომაყრის სევდის ფანტელებს.

სიზმარში მოვა, უღვთოდ ლამაზი,
შემხედავს, მკითხავს: ისევ გაწვიმდა?
გულში ჩამიკრავს და კოცნით აკრეფს
ცრემლების მძივებს ჩემი სახიდან.

ისაუბრებენ დიდხანს სულები _
სხვაგვარად ღამეს რა გაათენებს?
დილით ის წავა და დამიტოვებს
თმაში ნაადრევ თოვლის ფანტელებს.

* * *

ხან მზე ბრწყინავდა ცაზე, ხან _ მთვარე
და ავდრებს ცვლიდნენ ზოგჯერ დარები...
კვერცხის კი არა, გულის გულიდან
იჩეკებოდნენ ლექსის პწკარები
და იზრდებოდნენ (როგორ მინდოდა,
არ შეხებოდათ ქარი უხეში!)
ძუით კი არა, თიხით კი არა,
შიშველ ნერვებით ნაქსოვ ბუდეში.
საითკენ წავლენ? როდის შეძლებენ,
შემოუფრინონ ლურჯი ცის ტატნობს?
ლექსებს _ ჯერ შეუბუმბლავ მართვეებს _
მე მკითხველსა და მომავალს ვანდობ.

გზა

ვაკეზე შევხვდით.
მწვერვალისაკენ მივცოცავდით,
უფსკრულისაკენ მივექანებით.

* * *

რაკი არ ვგავარ უმრავლესობას,
ხალხი არაფერს არ მომიწონებს,
ბრბოს სამსჯავროდან გამოქცეული,
თავს შევაფარებ ლექსის სტრიქონებს.

რომ არ გაგთვალონ, რომ არ გაგთვალონ,
დაგინთებ რითმის ჭიაკოკონას,
ტკივილის ფესვზე აღმოცენებულ
ლამაზ ყვავილებს შეგიკრავ კონად.

ჩაიქროლებენ წლები წამივით,
კვალს დააჩნევენ გულსა და სახეს...
რომ არ დაბერდე, რომ არ დაბერდე,

მე სიყვარულის ნათელში გაგხვევ,

სულს კი საყრდენად შემოგაშველებ,
რომ ფრენა გახდეს უფრო ადვილი,
რომ ჩემი გრძნობის ძალით გაზომო
ცასა და მიწას შორის მანძილი.

* * *

რა გაოცებს? _ ხეში წყალი ჩადგა უკვე,
კიდევ ერთხელ შემობრძანდა გაზაფხული...
თავდახრილი მიუყვება ქუჩას ქალი,
შენი, მაგრამ სამუდამოდ დაკარგული.

ნუში ტყემალს სითეთრეში ეჯიბრება,
მზემ ატმები საბოლოოდ გადარია,
შენ კი გცივა, იანვარი იყოს თითქოს,
რადგან სულში უსასრულო ზამთარია.

რა გაგიქრობს, რა გაფანტავს ამ კაეშანს?_
ყველა ტკივილს როდი კურნავს გაზაფხული...
ცრემლებს ყლაპავს და მიჰყვება ქუჩას ქალი,
შენი, მაგრამ სამუდამოდ დაკარგული.

* * *

ტყუილად გაცდნენ შენი მაყრები:
ვერ გაუყევი გზას ჰაიჰარად
და, სიყვარულზე უფრო ნაკლები,
გულმა არარა არ გაიკარა.

ოცნების ძალაც აღარ გაქვს ეულს
და მზის ჩასვლამდე მორჩილად იცდი,
ბელურასავით მობუზულ სხეულს
რაში სჭირდება ზედმეტი ტვირთი?

სული კი მაინც ფრთხიალებს ცეტად,
შვიდივე სიმით კვნესის გიტარა...
ვის რა ბრალი აქვს, თუ ლექსზე მეტად
გულმა ვერარა ვერ შეიყვარა?

* * *

გამივლია გაუკვალავ გზაზე,
კაბის კალთას მოსდებია ეკალი,
სიყვარული სასოებით ვზარდე,
უპასუხოდ ნეტა არ მოგეკალი.

ვუსეტყვივარ ყვავილების სეტყვას,
თოვლის ფიფქთა დამიგია ზეწარი,
მიცოცხლია, რათა შენთვის მეთქვა,
რომ ხარ ჩემი უფსკრულიც და ზეკარიც.

გავლუმპულვარ გაზაფხულის წვიმით,
მთის ბილიკებს გავყოლივარ გვიმრიანს
და შიგ გულში მოცახცახე სიმით
შენი სევდის ლაბირინთში მივლია.

დამეწევა შეღამება გზაზე,
შიშველ ხელებს დამიკაწრავს ეკალი,
რაც მე შენთვის ია-ვარდი ვზარდე,
მარტოობით ნეტა არ მოგეკალი.

რაჭა

1. კიდევ ერთი გაზაფხული

აქ, რაჭის გზაზე თითქოს წამიც არ გასულიყოს,
ატმის ხეები ისევ ისე ვარდისფერია,
ფურისულებმა დამინიშნეს შარშან შეხვედრა
და ძველ ადგილზე პაემანზე ისევ მელიან.

არ დაუკარგავს ლორთქო ბალახს ძველი სურნელი
და მზის სხივები ისევ ათბობს მთებს გვირგვინიანს,
მე მეშინია, არ მოაკლდეს გულს სიყვარული,
ხოლო სიკვდილის ოდნავაც კი არ მეშინია.

ერთხელაც მოვა გაზაფხული _ მე არ ვიქნები
(ნეტავ მომავალს წარსულივით დღეს რად ვიგონებ?),
დამენანება, შენ რომ ვეღარ მოგეფერები,
ვერ წავიკითხავ ჯერ არშექმნილ ლექსთა სტრიქონებს.

შენ გაზაფხულზე იმოსები თეთრით, ტყემალო,
მე თმაში ფიფქი ზამთრის გამო შემომერია ...
შარშანდელს აქეთ თითქოს წამიც არ გასულიყოს,

ყოჩივარდები პაემანზე ისე მელიან.

2. ზაფხული

კაკლის ხეები ვეება,
ოდა სახლები მწვანეში,
მზესუმზირები მზეებად
დგანან სიმინდის ყანებში.

ცა ეფერება მთის მწვერვალს,
სწვავს სიყვარული უთქმელი,
აბრეშუმივით ლივლივებს
მზეზე ფოთლები ურთხელის.

წამოვა წვიმა შხაპუნით,
დაალბობს მიწას აყალოს.
...მაინც რატომღაც ვეღარ ვცნობ
ჩემი ბავშვობის სამყაროს.

3. შემოდგომა

ფოთოლთ ფარფატით მომეგებები,
რიონის ჩქერთა აშადრევნებით...
გამოკიდულან გზაზე ლამაზად
ძაღლყურძენების შავი მტევნები,

დგას ქრიზანთემა აყვავებული
და შემოდგომის პირველ თრთვილს უფრთხის,
ეზოში მამლის ბიბილოსავით
გაწითლებულა ძახველის ბუჩქი.

შემოკლებიათ სიცოცხლე დღეებს,
ბინდბუნდი დგება უკვე ადრიან
და შემოდგომის ოქროსფერ ხეებს
ჩამავალი მზის ცვარი აყრიათ.

როგორ მიყვარხარ... და, როცა გიცქერ,
გულს სიამაყე მოიცავს უხმო,
თან მენანება ეს სილამაზე,
მიტოვებული კაცთაგან უღვთოდ.

4. ზამთარი

წინ ნაქერალას აღმართებია,
დაზამთრებია წალკოტს და ედემს
და თოვლი _ ქურქი სიასამურის

ხეებს მსუბუქად მოუსხამთ მხრებზე.

გზის პირას მაინც წანწკარებს წყარო,
მოაწკრიალებს ყინულის ზარებს,
მანქანის ბორბლებს ადევნებული,
ურმისთვალივით მიგორავს მთვარე.

ირგვლივ (და სულშიც) სიმშვიდე მეფობს,
ირევა ვერცხლი თოვლის და მთვარის
და დღეს რატომღაც გაყუჩებულა,
გარინდებულა დეკემბრის ქარიც.

5

დანგრეულ სახლის ჭიშკართან ვდგავარ,
ხოლო თვალები გზას გასცქერიან,
ო, რა ნაცნობი ხედია, მაგრამ,
მის გარდა, უკვე არაფერია.

6. წარსულის გამოხმობა

მაშინაც იდგნენ სალი კლდეები,
ლაჟვარდი ზეცა ეხურათ ქუდად

და ფარახეთში ერაძეები
ტყეილ-მართლისას ბერავდნენ გუდას.

საიდუმლოთა იყო განდობა,
სიყვარულების ოხვრა და ელდა
და ბებიების ახალგაზრდობა
რკინით შეჭედილ ზანდუკში თვლემდა.

ითესებოდა ხოდაბუნები,
ბუხარში ღველფში ცხვებოდა კვერი,
დაჭრიალებდნენ გზებზე ურმები
და მაღლდებოდა "ქვედრულით" ჭერი.

იჭედებოდა ცელი, ნამგალი
და მონადირის პირბასრი დანა.
...ვგონებ, წარსულთან არ ვართ მართალი,
ჩემო კუთხევ და ჩემო ქვეყანავ!

ზღაპარი

ბუხართან სარწეველა სავარძელში ზიხარ.
მე ცომსა ვზელ,_
"ნაპოლეონი" უნდა გამოგიცხო.
საოცარია: შენი ხათრით
ჩემს საძულველ "ნაპოლეონსაც" კი შევები.
მომავალზე მესაუბრები.
თბილა. შუქიც წამდაუწუმ აღარ ქრება.
დროდადრო ჩემთან მოდიხარ და,
ვითომ მეხმარები, რაიმეს აფუჭებ.
ესეც კი მიხარია.
ცომიანი ხელებით გეფერები და ვხვდები,
რა მარტივია ბედნიერება.

წ ა რ ს უ ლ ი ს გ ა მ ო ხ მ ო ბ ა



* * *

არ დაიჯერო, რომ შევიცვალე,
რომ გარდასახვა ეს არის სრული,
ჩემი ღიმილი იმას არ მოწმობს,
რომ დავივიწყე მწარე წარსული.
დღესაც წარსულის აჩრდილებს შორის
პეპელასავით ფარფატებს სული,
სული _ უცნობი შენთვის აქამდე,
სული _ დაღლილი და წამებული.

არ დაიჯერო, რომ შემიძლია
ბედს შევურიგდე უხმოდ, მორჩილად,
მგონია, მიზანს ვუახლოვდები,
ვხედავ: მირაჟი მხოლოდ ყოფილა,
ბევრს ვეძებ, მაგრამ ცოტას ვპოულობ
და ვიტანჯები ამით ორწილად...
ოი, რამდენი ვიფიქრე შენზე,
ნეტავ შემეძლოს, მაამბობინა.

არ დაიჯერო, რომ შემიცანი,
თუნდ ახლოს ვიყო შენთან ძალიან,

უფრო გვაშორებს ეს სიახლოვე
და მე არ ვიცი, რისი ბრალია,
რომ ყველაფერი მშვიდია ირგვლივ,
სულში კი ისევ ქარიშხალია...
ჩემი ტანჯვის და ლხენის სათავე
გულს დაჩნეული შენი კვალია.

* * *

ხანდახან მგონია, მორჩა,
ხანდახან მგონია, უკვე
დადგა ჟამი მსახვრელი
და მე არჩევანი მიწევს:
შენ ან სხვა ყველაფერი ერთად,
შენ ან სხვა ყველაფერი.

ვიცი, არ დავიწყებ ყოყმანს,
რა უნდა ვინატრო მეტი,
შენ თუ მეყოლები კარგად.

ყველაფერს უსიტყვოდ დავთმობ,
ყველაფერს უცრემლოდ დავთმობ,
ყველაფერს... სინდისის გარდა.

ყველა თუ გიყვარს

ჩვენ სულ ვკამათობთ. უკვე მომბეზრდა
გავიმეორო, რაც უკვე მითქვამს:
მეტად აღარ თქვა, ტყუილი არის,
ტყუილი არის, რომ ყველა გიყვარს.

არა, შენ არ ხარ ისე მარტივი,
ვერ გაარჩიო ავი კარგისგან,
შავი _ თეთრისგან, ეშმა _ ღმერთისგან,
მწარე _ ტკბილისგან, ცოდვა _ მადლისგან.

მაშ, რად აქციე გარემო ვაკედ:
აღარც მწვერვალი, აღარც ჭაობი...
იქნება, სულაც არავინ გიყვარს
და მე ტყუილად შენთან ვდავობდი.

მოგონება

ის უეცარი ფერისცვალება:
მოწმენდილ ცაზე _ მეხი.
რაღაც წამართვი, რაღაც მოკალი,
რაღაც გათელე ფეხით.

_ დამავიწყდები. ლექსებს კი...
ლექსებს ვეღარასოდეს დავწერ. _
მე ვერ გავბედე მაშინ ამის თქმა,
ვერ მოვერიე სათქმელს.

გული გააპო უხმო კივილმა,
მიმოიფანტა ქარში
და, აუტანელ ტკივილთან ერთად,
სულ მარტოდმარტო დავრჩი.

გადაეხლართა სიმაღლეს შენსას
წყენა, ეჭვი და შიში.
მერე გავიგე: თურმე, მქონია
მე პატიების ნიჭიც.

ისევ აგორდა ფიქრის ბორბალი,
ფქვავს უთქმელსა და სათქმელს...
კვლავაც მრავალჯერ მომაგონდები,
ლექსსაც მრავალჯერ დავწერ.

* * *

შემეშინდება როცა სიცოცხლის
და სამდურავი დამცდება ბედის,
გამახსენდება მაშინ უმალვე
ორივე ჩემი კერპი თუ ღმერთი, _

თუკი არა ვარ ბედის რჩეული,
მე საყვედური მაინც არ მეთქმის,
სანამ არსებობს შენი ღიმილი
და საოცარი მოვლენა _ ლექსი.

* * *

რა კარგი იყო ის საღამო: წვიმდა და ქარიც
არ ისვენებდა, წელში მოხრილ ხეებს ძარცვავდა
და ტროტუარი, მოფენილი ჭადრის ფოთლებით,
ფაქიზად ნაქსოვ უზარმაზარ ხალიჩას ჰგავდა.

უცებ შევჩერდი უმიზეზოდ შუა ქუჩაში
და მივიწყების ფერფლწაყრილი შენი ხატება
გაცოცხლდა. გულში გაჩნდა გრძნობა რაღაც იმგვარი,
რომ ჰგავს ღრუბლებში მზის უეცარ გამონათებას.

წვიმამ და ქარმა შენი თავი რად მომაგონა
და ასე ძლიერ შენი ნახვა რატომ მომინდა?
რატომ ვინატრე: კვლავ მოვრბოდე შენკენ წვიმაში
და არ მოგწყინდეს, არ დაგღალოს ჩემმა ლოდინმა?

ისევ დახვავდა უპასუხო კითხვების გროვა,
გადამავიწყდა ქარიც, წვიმაც, ელვაც და მეხიც...
შენ არსად ჩანდი. კვლავ ცვიოდა სველი ფოთლები
და გამვლელები უმოწყალოდ თელავდნენ ფეხით.

ასე რატომ ხდება

ასე რატომ ხდება:
ყრუ ტკივილისაგან
საფეთქლები სკდება
და ჰაერზე მეტად,
სიცოცხლეზე მეტად
სული შველას ითხოვს.
როგორ მიშველიდა,
როგორ მიშველიდა
ახლა შენი ხელი,
როგორ მიწამლებდა,
როგორ მიწამლებდა
ახლა შენი სითბო.

ასე რატომ ხდება:
სული გელოდება,
გული გელოდება,
მაგრამ როცა ცხადში
ჩემთვის მართლა ჩნდება
ის ნანატრი სითბო,
მე სიხარულს ვმალავ,

მე ყველაფერს ვფარავ,
გეგებები ცივად
და გულგრილად გიცქერ,
შენი გამოჩენა
არცრას ნიშნავს თითქოს.

შენ ტყუვდები ისევ,
შენ გგონია, მართლა
მომაბეზრე თავი.
მიდიხარ და მყისვე
გულგრილობა ქრება,
სინანული ჩნდება.
მაშინ მენატრები,
როცა აღარა ჩანს
უკვე შენი კვალი.
ო, ვიცოდე ნეტავ:
ასე რატომ ხდება?
ასე რატომ ხდება?

* * *

ერთხელ მითხარი: "წარსულს ვერ წაშლი".
შენთან შეხვედრა (როგორ არა ვთქვა!)
ჰგავდა მთებიდან ზვავის მოწყვეტას,
ჰგავდა ნამქერში ცოცხლად დამარხვას.

არაფრის წაშლას მე არ ვაპირებ.
არ მავიწყდები, შიგ გულში ჩამრჩი.
მე _ გაზაფხული _ გავექეც ზამთარს
და დავიფერფლე ზაფხულის ხვატში,
შემოგეფარე, როგორც ღვთაებას
გზააბნეული უმწეო ბავშვი,
შენ ვერ დაძლიე სიმაღლის შიში
და, მიწიერი, მიწაზე დარჩი.

ვერ შეგასმინე უხმო ვედრება,
გულში კი დამრჩა ჭრილობა ღია,
დამემსხვრა ხატი, ჩემგან შექმნილი
და მოურჩენელ ტკივილით მტკივა.

შენ ვერ გაიგებ, ასე რად ვწუხვარ,
რად ვაკოწიწებ ნამცეცებს შენსას,
ვიცი, გატეხილს ვერ გავამთელებ,
მაინც ვაცილებ ჭუჭყსაც და მტვერსაც.
...ვაიმე, ისევ გისაყვედურე,
თუმცა სხვაგვარად მინდოდა მეთქვა,
მე ახლა რა მაქვს შენთან სადავო,
ეს მე კი არა, დაწერა ლექსმა.



შენი ღიმილი

ოდესღაც ჩემთვის აღმოვაჩინე ღიმილი _ სხივი,
გულის კარი რომ ფართოდ გააღო,
შიგ შევიდა და იქვე დარჩა სამარადჟამოდ.
მე მომეჩვენა, რომ თვითონ მზე
ჩასახლდა ჩემში,
რომ გულში გაჩნდა მეორე გული,
ისე ცოცხალი, ისე მფეთქავი,
რომ დამავიწყდა მწარე წარსული
და ვარდისფერით კვლავ შევცვალე
შავი სათვალე.
შენი ღიმილი მექცა წყაროდ სიხარულისა
და თვით სიცოცხლის მექცა სათავედ,
რადგან სიცოცხლე უსიხარულოდ
უსარგებლო ტვირთია მხოლოდ.
მე მიხარია, რომ მსუბუქია ჩემთვის ეს ტვირთი,
რომ შენ არსებობ და მე შენი იმედით ვცხოვრობ.
მე მიხარია, რომ შემიძლია, მოვიდე შენთან,
გაგიზიარო სიხარული, წყენა, ტკივილი,
ჩამაცქერდები შენ თვალებში უსიტყვოდ, მშვიდად,
არ მოგცილდება საოცარი შენი ღიმილი,

რომელიც მუდამ მეუბნება,
რომ ვენდო თვალებს,
რომ ენა ზოგჯერ უძლურია,
გითხრას სათქმელი
და რომ ყველაფერს ეშველება,
სანამ გიყვარვარ,
სანამ მიღიმი, უფლისაგან
შენთვის გაჩენილს,
მიღიმი ისე, როგორც, ჩემს გარდა,
არ უღიმიან არავის ქვეყნად
და მე უსაზღვროდ ბედნიერი ვარ,
რომ წილად მერგო შეხვედრა შენთან,
რომ შეგამჩნიე და საკუთარ თავს
არ დავუკარგე შენი ღიმილი.

სიზმარი

წუხელ მესიზმრა:
მე დაგშორდი გულნატკენი,
როგორც ყოველთვის
და დიდხანს მარტო მივდიოდი
სადღაც შორს, მაღლა...
გზამ მიმიყვანა უცებ ბევრ ხალხში,
სადაც არავის ეცალა ჩემთვის
და უშენობა შევიგრძენი
მე მხოლოდ ახლა.
დიდხანს გეძებდი უშედეგოდ
და ყველა გამვლელს
შეშფოთებული ვეკითხებოდი:
_ სად არის, ნეტავ?
არვინ უწყოდა შენი გზა-კვალი.
ბოლოს, ვიღაცამ დამამშვიდა:
_ ნუ გეშინია,
სადაც არ უნდა წასულიყო,
წინ შეგხვდებაო.
მე ვუპასუხე:
_ როგორ შემხვდება,

როცა სულ სხვა მიმართულებით
წავიდა - თქო.
ეს _ ხმამაღლა ვთქვი,
გულის სიღრმეში კი მჯეროდა,
რომ მომძებნიდი,
რომ მე ვიყავი შენი გზების
თავი და ბოლო...
გამომეღვიძა და გავბრაზდი
საკუთარ თავზე,
რომ სიზმარშიაც
უიმედო იმედით ვცხოვრობ.

* * *

მე არასოდეს დამავიწყდება
სასოწარკვეთა და დაფიქრება,
შენ რომ სახეზე ნისლად გებურა,
როცა კარებში შემოდგი ფეხი
და მე დამიწყე თვალებით ძებნა,

როგორც მაშველ რგოლს _ წყალწაღებულმა.

შენ ახლა რაღაც დიდ დარდს მალავდი,
არ უმჟღავნებდი ქვეყნად არავის,
არ უმჟღავნებდი საკუთარ თავსაც,
ცდილობდი, მშვიდი დარჩენილიყავ,
იცინოდი და ხუმრობდი კიდეც,
მაგრამ თვალებმა უმალვე გაგცა.

ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა,
მე მყისვე მივხვდი, რაც უნდა გეთქვა,
სიტყვა საერთოდ ზედმეტი გახდა
და წვეთ-წვეთობით შენიდან ჩემში
გადმოინაცვლა მწარე ტკივილმა,
თან გულში გაჩნდა უჩვევი განცდა:
მე მიხაროდა (შემინდე, ღმერთო!),
რომ კვლავ ვიწამეთ ჩვენ ერთმანეთის,
რომ ყველა ეჭვი უკვალოდ გაქრა.

* * *

მე ბავშვობიდან წარუშლელად ჩამრჩა ხსოვნაში
პაწია ჩიტი,
შემოფრენილი ჩემს ოთახში ღია ფანჯრიდან,
გასასვლელს რომ ვეღარ აგნებდა
და ეხლებოდა ოთხივ კედელს
ფრთების ფათქუნით.
შიში, განგაში, უმწეობა, სასოწარკვეთა, _
რაღა არ იყო ჩიტის ფრენაში.
მე ჩიტს ვუცქერდი, ვერას ვშველოდი
და წამწამებზე მეკიდა ცრემლი,
როგორც ნიშანი საკუთარი უძლურებისა.
ჩიტმა იფრინა, სანამ ძალა გამოელია
და იატაკზე დაენარცხა
შურდულიდან ნასროლ ქვასავით.
მე ხელში ფრთხილად ავიყვანე
დაღლილი ჩიტი, მოვეფერე და,
როცა ცოტა მოსულიერდა,
გარეთ გავუშვი.
" მაინც ვუშველე". _ გავიფიქრე გახარებულმა
და მერე დიდხანს ბედნიერი ვიყავი ამით.

... ო, როგორ გავხარ შენ იმ ჩიტს ახლა...

შენც სულს გიხუთავს ოთხი კედელი,
შენთვის განკუთვნილ სივრცეებს ეძებ,
შენც ფრენა გინდა სულ მაღლა, მაღლა.
ახლა შენ გიცქერს ცრემლჩამდგარი ჩემი თვალები
და სულ მგონია,
რომ შენი გული, შიშველი გული
მე, როგორც ჩიტი მოფრთხიალე,
ხელში მიჭირავს.
ის მეუბნება, რომ იტანჯება
და ჩემგან მხოლოდ შენი სურვილის
შესრულების სურვილი რჩება.
თუკი შენ გინდა, ჩრდილივით ჩუმად
ავედევნები მე შენს ნაკვალევს
და გავაკეთებ, რაც დაგჭირდება, _
მე ერთგულება ასე მასწავლეს.
მე ბედნიერი ვიქნები ამით,
რადგანაც ქვეყნად არაფერია
უფრო მეტად ჩემი, ვიდრე ის,
რაც შენთვის კეთდება.
თუკი შენ გინდა, არ მოგშორდები
და შენთვის შევთხზავ ჯერ უთქმელ სიტყვებს,

თუ გაგახარებ, მე მეტსაც გეტყვი,
ვიდრე საერთოდ სიტყვები იტევს.
რა შემიძლია მე ამის გარდა?
იქნებ, გაგათბო ჩემი სხეულით
და საკუთარი მოგცე სიცოცხლე,
ოღონდ დამშვიდდე, ოღონდ დაწყნარდე.
ან, იქნებ შევძლო, შენთვის ვიქცე
ღია ფანჯარად,
უსაზღვრო სივრცეს რომ გაზიარებს.
ვერ მოგიშუშებ ნუთუ იარებს,
ვერ შევძლებ შველას?
ნუთუ მანამდე ვერც მე, ვერც სხვა
ვერას გიშველით,
სანამ მიწაზე დაეცემი
ქანცგაწყვეტილი?
შევძლებ თუ ვერა, რომ დავიცვა
შენი სიმართლე
და ავიცილო ის მწარე განცდა,
როცა სურვილი სურვილად რჩება
და საკუთარი უძლურების
შეგრძნება გტანჯავს?

* * *

შენ ახლა ეძებ გზებს გაუკვალავს,
მე ნაღვლიანი მზერით გაცილებ,
ფეხს ვერ აგიწყობ, ვერ გამოგყვები,
თუ ამ ბორკილებს არ მომაცილებ.

მიდიხარ უკანმოუხედავად,
სულ არაფერი არ გედარდება,
რატომ ვერ ხვდები: მარტო ვერ ივლი
და სიგიჟემდე მოგენატრები.

შენ დაგავიწყდა, გეთქვა: "მშვიდობით!"
და უნუგეშო მზერით გაცილებ...
მე ვერასოდეს ვერ მოგეწევი,
თუ ამ ბორკილებს არ მომაცილებ.

გაფრთხილება

თუნდ სინანულის წვიმამ მაწვიმოს,
უშენოდ თმაში თეთრმა დათოვოს, _
მე არასოდეს არ გაგაგონებ
"არ წახვიდე"-ს და "არ მიმატოვო"-ს.

მე სულ არ მინდა, სიყვარულს ჩვენსას
ხვალ სინანული ერქვას სახელად,
ამიტომ თითსაც არ გავატოკებ
იმ ნამცეცების გადასარჩენად,

რომელიც, ალბათ, მერგება წილად,
თუ შენ ჩემს გვერდით ყოფნა მოგწყინდა...
არ გთხოვ სიბრალულს, არც მოწყალებას:
_ გზა მშვიდობისა! გზა მშვიდობისა!

* * *

ახლა, როდესაც მარტმა იძალა
და ქუჩებს ტბორავს წყალი ნაჟური,
ახლა, როდესაც სულში მიძვრება,
გულში მიძვრება ეს გაზაფხული,

მე მენატრება შენს გვერდით გავლა,
ჭადრის ხეების ჩრდილები მუქი,
დაგუბებული შენს ხმაში სევდა,
შენი უძირო თვალების შუქი,

შენი ღიმილი და სტანდარტებში
ვერჩატეული შენი ბუნება _
ყველა კითხვის და ყველა პასუხის
მოულოდნელი შემობრუნება.

ეს რა დღეში ვარ: ოცნებამ შენზე
ამდენი წელი არ იმყოფინა...
რად მენატრება, რაც არ არის და
არც არასოდეს არა ყოფილა?

* * *

ისე შემოჰყევ გულში გაზაფხულს
საოცარი და თან გარდუვალი,
რომ გონზე მოსვლაც ვერ მოვასწარი,
უკვე მასპინძლად მექეც სტუმარი.
მოხველ, თან მოგყვა თაკარა მზე და
ტყემლის ყვავილის თეთრი ფიფქები
და შეეზარდა ჩემს არსებობას
შენი მზერა და შენი სიტყვები.
... თუმცა არა ხარ მონათმფლობელი,
ვიცი, სულ შენი მონა ვიქნები.

ახალი ათონი

თვალს ვერ ვუსწორებ მიწისქვეშა ზღაპრულ სამყაროს,
ღვთიური ძალა სხეულს თითქოს ცისკენ ეწევა,
მინდა, ბუნებას თაყვანი ვცე, ქება შევასხა
და მუხლმოყრილი დავიღვარო ლოცვად, ლექსებად.

თვალისმომჭრელად ბრწყინავს, ელავს მღვიმის კედლები,
თითქოს მომსკდარა მოვარვარე ღვარი ტყვიისა
და მე არ ვიცი, როგორ ავხსნა ეს საოცრება
მშრალ განტოლებით ქიმიური რეაქციისა.

ეს _ უგლოვია კაცთა მოდგმის ყველა ცოდვაზე
(ჩვენ ხომ ბუნების თანაგრძნობა მუდამ გვჭირდება!),
საუკუნეთა მსვლელობაში ნაღვენთი ცრემლი
დარბაზის ჭერზე მიყინულა სტალაქტიტებად.

მაგრამ, რადგანაც ცრემლთან ერთად ცოცხლობს იმედი,
დედა-ბუნებამ მათ შორისაც გადო ხიდები
და, სიმაღლისკენ სწრაფვის ნიშნად, სანთლად აანთო
წყვდიადში წითლად მოციმციმე სტალაგმიტები.

ჩვენც ამ პატარა შუქურებმა დაგვაიმედა,
გაგვათბო, როგორც მზის სხივების მწველმა ისარმა,
იდუმალ ძალას გვაზიარა მიწისქვეშეთმა,
მკერდი გაიხსნა და ჩვენს თვალწინ გადაიშალა.

თავის გამხნევების მცდელობა

მერე რა, თუკი ბედმა მარგუნა,
მხოლოდ ოცნების გზებზე გიცდიდე,
რომ ვერ მიხვდება ქვეყნად ვერავინ,
რა ფასად მიღირს ახლა სიმშვიდე;
მერე რა, თუკი ვერვინ გაიგებს,
რა შევიძინე, ან რა დავკარგე,
რომ ვერ შევძელი მე დავიწყება,
შემოგინახა ხსოვნამ აქამდე;
რა მოხდა, თუნდაც აუხდენელი
ოცნება გერქვას, სიზმარი გერქვას,
ოღონდ ორივე ვიყოთ მართალი
საკუთარ თავთან, საკუთარ ღმერთთან.

ცრემლი

ცრემლი სიყვარულმა მაღვრევინა,
მაინც გაშფოთებდა ის ცრემლები,
მე ღმერთს შენი სულის გადარჩენას,
შენს სიცოცხლეს ცრემლით ვავედრებდი.

ცრემლით ვცვლიდი ალერსს, საყვედურსაც,
ცრემლი იყო ჩემი უხმო ენა,
შენ კი გაშინებდა სიკვდილივით
ჩემს თვალებზე ცრემლის გამოჩენა.

მერე ცრემლი გაშრა. შენ დამშვიდდი,
გეგონა, ყველაფერს შევეგუე:
ან შენ თვალი განგებ დაიბრმავე,
ან მე უნებლიეთ მოგატყუე.

იმედდაკარგული გიცინოდი, _

შენ კი ეს მიიღე სიხარულად,
ცრემლი სიძულვილად ჩამითვალე,
გულგრილი ღიმილი _ სიყვარულად.

ჩემგან არ ინდომე არაფერი,
ცივი ეტიკეტის დაცვის გარდა
და ვერც კი შენიშნე, რომ დაეშვა
ჩვენს შორის დუმილის მძიმე ფარდა.
... ახლა ყველაფერი კარგადაა,
მხოლოდ სიყვარული დასამარდა.

* * *

ეს შენ აქციე ჩემს საკუთრებად
რაც კი ქალაქში ყვავილი იყო.
დღეს რამ გაგხადა ასე კეთილი,
ეს გულუხვობა როგორ გავიგო?

ამ შენს საქციელს, ჩემო ძვირფასო,
რა შეიძლება სახელად ერქვას?
"დიდი ხანია, მინდოდა მეთქვა...
დიდი ხანია, მინდოდა მეთქვა... " _

რომ იმეორო დაუსრულებლად,
ეს რას შეგვმატებს, ნეტავ ვიცოდე?
ამდენ ყოყმანში თოვლის ფიფქივით
შემოგვადნება ხელში სიცოცხლე

და არასოდეს იქცევა აწმყოდ,
რასაც დღეს ჩვენი ოცნება ჰქვია,
როცა ყველაფერს შეიცნობ სწორად,
უკვე იქნება ძალიან გვიან.

* * *

იყავი ვითომ მშვიდი და მტკიცე,
შეიძლებოდა შენზე დანდობა...
არ ცნობდი მხოლოდ ლექსსა და ყვავილს, _
ასე წავიდა ახალგაზრდობა.

გიყვარდი, ვითომ გიყვარდი, მაგრამ
ვერ გრძნობდი, გული როგორ მტკიოდა.
უხმოდ ველოდი სანატრელ სიტყვებს
და არაფერი გამომდიოდა.

ახლა, როდესაც თმებში დათოვა
და აღარაფერს შენგან არ ველი,
გაჩნდა სიტყვა და გაჩნდა ყვავილი,
გაჩნდა ღიმილი და გაჩნდა ცრემლი.

და ვნანობ: დროზე რატომ ვერ მივხვდი, _
ყინულის ნიღაბს შეფარებული, _
შენ თურმე დიდი ბავშვი ყოფილხარ,
სითბოს და ალერსს მონატრებული.

* * *

შენ ვეღარ არჩევ ცრემლსა და ღიმილს,
ვეღარ მიფურცლავ ოცნების ფურცლებს,
შენ შეეჩვიე ჩემს არსებობას,
როგორც რაღაცა მუდმივს და უცვლელს.

ო, გევედრები, ნუ ჩათვლი ასე,
ნუ დამივიწყებს შენი ფიქრები,
თორემ ერთხელაც დაგეკარგები,
მოიხედავ და აღარ ვიქნები.

ნუ გეგონება, რომ სამუდამოდ
შესძელი გულის კარის გაღება,
ქალი ციხეა, ციხე, რომელსაც
თურმე ყოველდღე უნდა აღება.

სამშობლოს

იქნებ ვერ ვაქებ, როგორც ეკუთვნის
შენს მზეს თაკარას და სავსე მთვარეს,
იქნებ ვერ ვამჩნევ შენს სილამაზეს,
როგორც სუნთქვისას ვერ ვამჩნევთ ჰაერს.

იქნებ ვერა ვთქვა, შენს ცას და მიწას
რა საოცარი ფერები შვენის,
მაგრამ მე მიყვარს გათელილი თუ
გაუკვალავი ბილიკი შენი.

შენი ზამთარი, შენი ზაფხული,
კვირტების სკდომა და ფოთოლცვენა, _
მიყვარს უსიტყვოდ და უხმაუროდ,
როგორც დედა და ბავშვობის კერა.

წაიღე ჩემგან, რაც კი დაგჭირდეს,

საქმე გიჩვენო, სამშობლოვ, ვნატრობ,
თორემ სიტყვებით ვით გაგაკვირვებ,
ამდენი მგოსნის გამზრდელს და პატრონს.

* * *

ო, რა ძნელია, რა უაზრო ყოფნა უშენოდ...
ამ უსასრულო მოლოდინმა ძალა წაიღო,
რად დამებედა ხეტიალი უმისამართო
და ჩუმი ნატვრა: ნეტავ ახლა ჩემთან შენ იყო!

ხან მიგამსგავსებ რომელიმე გამვლელს შემთხვევითს,
ვერ შეგიცნობ და იკუმშება გული ტკივილით,
ხანაც უეცრად მართლა სადმე შემეფეთები
და არემარე გაბრწყინდება შენი ღიმილით.

შემეშინდება, რომ გამცემენ სახე, თვალები,
მიტომ სასწრაფოდ გულგრილობის ვიფარებ ნიღაბს
და, ჩვეულებრივ ნაცნობივით გესაუბრები,
ქვეყნად ყველაზე ახლობელს და ყველაზე ძვირფასს.

ჩვენ ვლაპარაკობთ ყველაფერზე და არაფერზე,
მე უმიზეზოდ ვნერვიულობ, სადღაც ვიჩქარი,
შენ არა გტოვებს ეგ ჩვეული სიდინჯე შენი
და მე მაოცებს, თუ რატომ ვერ გამოვიცანი:

რა იმალება მაგ სიმშვიდის, სიდინჯის მიღმა,
ვინა ვარ შენთვის, ფიქრობ ჩემზე, სულ არ მიგონებ?
ასეთი კარგი, ახლობელიც, მიუწვდომელიც,
მართლა შენა ხარ, თუ მე მხოლოდ გამოგიგონე?

გამოგიგონე, შეგიყვარე და შეგეთვისე,
თითქოს გიცნობდი ბევრად ადრე, ვიდრე გნახავდი.
გამოგიგონე, რომ ვიცოდე, სადღაც არსებობს
ადამიანი, ოცნებაში მე რომ ვსახავდი.

ამიტომ მინდა და არც მინდა, მოგიახლოვდე.
რით გათავდება ეს ყოყმანი, რით გათავდება?
ნეტავ, ვინა ხარ: ვინც იზრდება ახლო მანძილზე,
თუ ის, ვინც დროში უსასრულოდ პატარავდება?

თარგმნისას

ანა ახმატოვას

ანა! შენ ქალი იყავ, _ეტყობა
ცრემლით გაჟღენთილ ამ შენს სტრიქონებს,
შენ მართლა ასე ხშირად გტოვებდნენ,
თუ ყველაფერი გამოიგონე?

ვინ გაგიგებდა... სახე ჯიუტად
ფარავდა სულის განწირულ კივილს
და, ღმერთმა იცის, რა რას კვებავდა:
ტკივილი _ მუზას, თუ მუზა _ ტკივილს.

ნაცნობ ტკივილში შეგეზიარე,
გავინაწილე შენი ვარამი
და ციკლს შენეულ **გ ა ნ შ ო რ ე ბ ე ბ ი ს**
ფეხდაფეხ მიჰყვა ჩემი კალამი.

]მიესადაგა ჩემი ქართული
შენი სიმღერის სევდიან მოტივს,

მაგრამ დავკარგე სტრიქონებს შუა
მოვერცხლისფერო ტირიფის ტოტი.

ასე ვერ ვიტყვი, როცა ჩიტები
საშემოდგომო ჰანგებს მღერიან,
თუ ჭრილობაა, ჭრილობა იყოს,_
ჩემი ხეები სისხლისფერია.

ამიტომ წვეთავს სისხლი და ცრემლი
ქართულად ნათარგმნ ამ შენს სტრიქონებს.
ანა! შენ მართლა ყველას კარგავდი,
თუ ლექსისათვის გამოიგონე?

გ ა ნ შ ო რ ე ბ ე ბ ი

(თარგმანები)

რუსული პოეზია

ფრანგული პოეზია

დენის დავიდოვი

* * *

ნუ გააღვიძებ, ნუ გააღვიძებ
ჩემს შეშლილობას და გაშმაგებას,
წარსულში დარჩა ეჭვიც და გზნებაც, –
ჩამქრალ ნაღვერდალს ნუ გააღვივებ!

რად არ მასვენებს, რად არ მასვენებს
ის საყვარელი, ნათელი სახე,
ძვირფას და მტანჯველ ერთადერთ სახელს
ნუ გამახსენებ, ნუ გამახსენებ!

ნუ დაასრულებ, ნუ დაასრულებ
უღრუბლო დღეთა უშფოთველ წყებას
და იმ დამღუპველ, წამლეკავ ვნებას
ნუ დააბრუნებ, ნუ დააბრუნებ!

თუმცა რას ვამბობ, რად მინდა ნიღბად
უზრუნველობა და გულგრილობა,
არ იმალება ღია ჭრილობა
მოჩვენებითი სიმშვიდის მიღმა.

თედორე ტიუტჩევი

უკანასკნელი სიყვარული

ო, სიყვარული რარიგ ნაზია
სიცოცხლის ბოლოს, სიბერის ზღურბლზე,
გამოსათხოვარ შუქით ანთია
დაისის მზე და აწითლებს ღრუბლებს.

ცა ჩამობნელდა. შორს, დასავლეთით
ძლივსშესამჩნევი სინათლე როკავს.
ნუ მიმატოვებ, მშვენიერებავ,
შემოღამებავ, მაცალე ცოტა.

აღარ ჩქეფს სისხლი. გულს ავსებს ნდობა,
სევდა _ უსიტყვო და უსახელო...
ნეტარებაც ხარ, უიმედობაც,
შენ, სიყვარულო უკანასკნელო!

ბედისწერა

თქმულება ამბობს, რომ სიყვარული
ფაქიზ გრძნობათა არისო სფერო,
ის კავშირია მსგავსი სულების,
საბედისწერო შერწყმაა მათი
და ორთაბრძოლა... საბედისწერო.

უთანასწორო ჭიდილი მიდის
და ამ ჭიდილში მარცხდება მუდამ,
იმსხვრევა მუდამ სწორედ ის გული,
რომელსაც უფრო ნაზი და სუფთა
ძალუძს ოცნება და სიყვარული.

იაკობ პოლონსკი

ცივი სიყვარული

როდესაც მკოცნი საქმეებით უზომოდ დაღლილს
და შენი კოცნა ჩემში ექოდ აღარ ხმიანობს,
ნუ გეგონება, სიყვარულის არ ვიცი ყადრი,
ნუ იბუტები, ნუ წყრები და ნუ ეჭვიანობ!

სიყვარულს ჩემსას გაუვიდა ოცნების ჟამი,
ფრთები დასცვივდა, მაგრამ მაინც ფხიზელი არის,
არ გეფერება, მაგრამ გფარავს გასაჭირისგან,
ვით დარტყმებისგან დაჭყლეტილი ლითონის ფარი.

არ გიღალატებ და ისევე საიმედო ვარ,
როგორც მოხუცი რაინდისთვის ბექთარი ძველი,

ბრძოლის ქარცეცხლში ის ერთგულად გემსახურება,
ხმლისგან დაგიცავს, მაგრამ სითბოს მისგან ნუ ელი!

და თუ შენ გამცვლი, თუ შენ ჩემთან არ გედგომება,
გადაეყრები ჭუჭყს და ტალახს, დღემდე დაფარულს,
თვითონ მიხვდები, რარიგ ძნელი არის ცხოვრება
და გაიხსენებ, დააფასებ ჩემს ცივ სიყვარულს.

კოცნა

განსჯის, გრძნობების და თვით ხსოვნის უარმყოფელი,
შენ არ გეგონოს, რომ მხურვალედ ტყუილად გკოცნი,
მე შენა გკოცნი ახლა ყველა იმ ქალის ნაცვლად,
ვისკენაც წინათ მიილტვოდა სული და ხორცი.

მის ნაცვლად გკოცნი, შეხედვას რომ ვერ ვუბედავდი,
სურვილს ვმალავდი, სიყვარულის ცეცხლით დამწვარი,
მის ნაცვლად, ვისი ერთგულებაც დამიფარავდა,
მაგრამ ახლა თვით მას იფარავს საფლავის ჯვარი.
მის ნაცვლად, ვინც მე ჯოჯოხეთის სამსალა მასვა,
ჩემზე მზაკვრულად იცინოდა და მაწამებდა.

... ეს ყველაფერი, რაც იმათთვის ჩემს გულში ენთო,
იქნებ ჩააქროს შენთან ყოფნის ტკბილმა წამებმა.

ათანასე ფეტი

პირველი შროშანა

შროშანავ, ცისკენ მიგირბის თვალი,
ამოხეთქილო მიწის გულიდან!
შენ მომნუსხველი ხარ საჩუქარი
აალებული გაზაფხულისა!

გამოარღვიე საფარი ცივი,
ამოყვავილდი სულ ერთ ღამეში;
იგრძნობა რაღაც ქალწულებრივი
შენს სურნელოვან სისუფთავეში!

შენებრ სიწმინდით ახალგაზრდულით
სავსე, ლოდინში შორეულ ბედის,
რაღაცას დარდობს თეთრი ქალწული
და თვით არ იცის მიზეზი სევდის.

* * *

არ ვიცი, რა ვუყო ნაღველს,
გული შვებას ეძებს უხმოდ;
არ მძინავს, ფანჯარას ვაღებ,
ბულბული დაჰკვნესის ბაღებს
და სტვენით გულის სწორს უხმობს.

შრიალიც არ ისმის ფოთლის,
ჩემზე და ბულბულზე ჯავრობს
ალვა; მოთმინება ჰყოფნის,
არ თქვას სამდურავი სოფლის,
ჩვენებრ არ ოხრავს და გალობს.

ცისკრისას მერევა რული,
მაგრამ მზე ბრწყინდება ისე,
შინ აღარ მიდგება გული.
... მელის დავიწყება სრული,
თუ სადმე შევხვდებით ისევ?

* * *

მოვედი, რომ მოგესალმო,
მზის ამოსვლა გახარო,
გიამბო, რომ ტყე ამწვანდა,
აწკრიალდა ცხრა წყარო;

ნაპირს გასცდა ნაკადული,
გალობს ჩიტი მზეწვია,
ბუჩქებს, ბალახს _ ყველას ერთად
გაზაფხული ეწვია;

ცაც ისეთი მაღალია,
გაზაფხულს რომ შეშვენის,
გულს სწყურია სიხარული,
სამსახური _ მე შენი;

შენთვის, მზისთვის, ყვავილისთვის,
დაე, ჩანგმა იჟღეროს,
ჯერ არ ვიცი, რას ვიმღერებ,
ვიცი _ უნდა ვიმღერო!

ძველი წერილები

უხმო მოწმენო ჩემი მზის და მთვარის ნათების,
დავიწყებული, დამტვერილი ჩემს წინ აწყვიხართ
და ცოცხლდებიან ანგელოზისდარი ნაკვთები
სახის, რომელიც, რა ხანია, გადამავიწყდა.

თქვენ ძველებურად სიყვარულით და ნდობით სუნთქავთ,
ახალგაზრდული შეგრჩენიათ სიწმინდე, ხიბლი,
დღეს ეს სიტყვები, ჩვენამდე რომ ათასჯერ უთქვამთ,
სირცხვილით მწვავენ და მაწვება სახეზე სისხლი.

თქვენით ვისჯები. მაგონდება წყარო დამშრალი.
მკლავს მონატრება სამუდამოდ დაკარგულისა.
თქვენ გახსოვთ ჩვენი განშორების მკაცრი ზამთარიც,
აფეთქებული გაზაფხულიც ჩემი სულისა.

დაუფიქრებლად მოვიშორე თქვენი დამწერი,
გულით მინდოდა, ვერ გავექეც ბედს მოთარეშეს,
რად დავიჯერე, თითქოს ქვეყნად არის ნათელი
ღვთით ბოძებული სიყვარულის გრძნობის გარეშე.

თქვენ მიღიმით და სიყვარულზე მეჩურჩულებით,
თვალებში მიცქერთ და გულს გული ისევ ენდობა,
მაგრამ ვერაფერს დააბრუნებს ცხელი ცრემლები
და არ არსებობს, არ არსებობს ჩემთვის შენდობა.

* * *

ნუთუ, როდესაც კითხულობდი მტანჯველ სტრიქონებს,
რომლებშიც გული, მტვრადქცეული, ენთო კოცონად,
ხოლო გრძნობები ბედისწერას ექიშპებოდნენ, _
შენ არაფერი არ მოგაგონდა?

რამ დამაჯეროს, როცა სტეპში, ვით საოცრება,
იფანტებოდა ნაადრევად ღამის წყვდიადი
და შენს წინაშე მიმზიდველი, როგორც ოცნება,
ავარდისფრებდა ცას განთიადი

და მონუსხული, უნებლიეთ უცქერდი ჩუმად,
უკუნეთს როგორ ამარცხებდა დილა მზიანი,
რამ დამაჯეროს, არაფერმა არ გიჩურჩულა:
იქ დაიფერფლა ადამიანი!

* * *

ყურში მიწივის ახლაც ხმები შენი ტირილის,
წლები გავიდნენ, გულში დარდი ვერ გამოვლიე
და მესიზმრება შენს სახეზე ნაზი ღიმილი,
როცა, ჯალათმა, სიყვარულზე დაგიყოლიე.

დრო მიდიოდა, სიხარული გვედგა თვალებში,
ბედნიერებმა არ ვიცოდით, დარდი რა იყო,
მაგრამ განგებამ გადამხვეწა უცხო მხარეში
და სამუდამოდ ჩვენი გზები ორად გაიყო.

"მიდიხარ?" _ მკითხე, ხელზე თბილი ხელი შემახე,
ვერ შემოგხედე, თვალებს მჭრიდა ცრემლების ბროლი
და ჩემმა თეთრმა ღამეებმა შემოინახეს
შენი თრთოლვა და წამწამებზე სპეკალი ორი.

* * *

ჩურჩული და ჩქროლვა გულის,
ოხვრა, ხეთა შრიალი,
ვერცხლისფერი ნაკადულის
ვერცხლის ხმაზე წკრიალი,

შენი სახე საყვარელი,
როგორც ღმერთის წყალობა,
ღამე, მთვარე, ვარსკვლავები,
ბულბულების გალობა,

შორს, ღრუბლებში ბრწყინვა ქარვის,
ელვა ვარდის მაისის,
კოცნა, ცრემლი, ფორიაქი
და აისი, აისი!

მაისის ღამე

ცაზე ღრუბლები მიცურავენ
უკანასკნელი,
გზად ეგებება მათ ნამგალა
მთვარის ნათელი.

მაისის ღამევ, ანთებულო
ოქროს ფერებად,
შენ მპირდებოდი ამქვეყნიურ
ბედნიერებას.

ის კი მიწაზე ვერსად ვპოვე,_
კვამლად წავიდა
და სული ეძებს ზეციურ გზით
დასაბამიდან.

ისევ მაისის ღამე

ო, რა ღამეა, კვირტთა სკდომის ხმები გაისმის,
მშობელო მხარევ, გაზაფხულის მოსვლა გეღირსა,
აჰა, მოფრინავს მშვენიერი შენი მაისი
თოვლის, ყინულის და ქარიშხლის საბრძანებლიდან.

ო, რა ღამეა, ვარსკვლავები ანთია თეთრად,
ყველა მათგანი გულში გწვდება, საცქერად ამო,
ხოლო ჰაერში, ბულბულების რაკრაკთან ერთად,
განფენილია სიყვარულიც, შიშიც მის გამო.

თეთრ არყის ხეებს ნეტარების ცრემლი ჩამოსდით,
თან ენანებათ ზამთრის ძილთან გამოთხოვება
და, ვით პატარძალს, საზეიმო კაბა-სამოსი
უხარიათ და, ამავე დროს, ეუცხოებათ.

მაისის ღამევ! უსხეულო მგონია თავი,
სულ მოვითენთე, მეძნელება თვალის გახელა,
მოვიდა ჩემი უნებური სიმღერის წამი,
კვლავ შენ გიმღერი და, ვინ იცის, უკანასკნელად!

* * *

ცხოვრება წავიდა უკვალოდ,
სული კი იწვოდა უკვამლოდ,
ვინ იცის, რა ჰქონდა მიზნად?
გაქრა ოცნება და იმედი,
ხოლო დაწყვეტილი სიმები
მიწაზე ცვივიან ციდან.

ასე ქარიშხლისგან ძლეული
თოვლი, ნამქერებად ქცეული,
ტოვებს გაშიშვლებულ მინდვრებს,
ბინას ტყის სიღრმეში დაეძებს
და ცივ, სამუდამო სარეცელს
ვერცხლის სიჩუმეში იგებს.

* * *

უკვე დაღამდა. როგორც იქნა, დავრჩით მარტონი.
შეხედე! ზეცა არაქაურ სიწმინდით ელავს,
ახლა ღამეა ამ მიდამოს ბატონ-პატრონი,
მდინარეს გულზე აბნევია ვარსკვლავი ყველა.

ასეთ წუთებში ვერ აზროვნებს საღად გონება,
შეშლილს მიწოდებ და გრძნობები მართლაც შემშლიან,
 სიყვარულს უხმობს ყველა ფიქრი და მოგონება,
ვერ გავჩუმდები _ არ მინდა და არც შემიძლია.

მე ვიტანჯები, მოწამეა მაღალი ღმერთი,
კარგად მისმინე და გაიგე! _ ვნებებს არ ვმალავ,
მე შენ მიყვარხარ და მინდიხარ, შენ ერთადერთი,
მე შენ მიყვარხარ და არ ძალმიძს ყოფნა სხვაგვარად.

* * *

არ გამიცვლიხარ, თეთრთმიანი ისევ მოგელი,
სიყვარული და ერთგულება დღეს უკეთ ვიცი,
და ძველი ბანგი _ სასიკვდილოც, შვებისმომგვრელიც _
მეც მწვავს და ჩემში თვითონაც იწვის.

თუმცა ყოველდღე უხალისოდ სხვისკენ ვიჩქარი,
მშვენივრად მახსოვს, რომ ჩვენს შორის არის საფლავი,
მე მაინც მჯერა, რომ არა ხარ მხოლოდ სიზმარი,
მაინც მინათებ, როგორც ვარსკვლავი.

თუ წამიერად გაიელვებს სხვა სილამაზე,
მომეჩვენება შენი სახე მყისვე მთვარეულს,
გულში იღვიძებს ძველებური ისევ სინაზე
და ვთხზავ სიმღერას ცრემლებგარეულს.

* * *

ცაცხვებს შორისაც კი აღწევდა მზის სხივი მწველი,
მბრწყინავ ქვიშაში შენ რაღაცას ხაზავდი ხელით,
მე ვოცნებობდი მომავალზე, ჩვენს შესაფერზე,_
შენ არაფერი მიპასუხე ამ ყველაფერზე.

მაგ მკერდქვეშ ჩემთვის გიზგიზებდა გული -საკირე,
ბედნიერება საკუთარი ჩემთვის გასწირე,
გარწმუნებდი, რომ დამნაშავე არ ვართ არც ერთი,_
ამ ყველაფერზე შენ პასუხიც კი არ გამეცი.

გიმტკიცებდი, რომ სიყვარული ჩვენ არ ძალგვიძდა,
გევედრებოდი, რომ წარსულზე დარდი არ ღირდა,
რომ წინ დღეები მოგველოდა, მზით დანაფერი,_
შენ არაფერი მიპასუხე, სულ არაფერი.

თვალს ვერა ვწყვეტდი გაყინული შენი სახიდან,
ღრმად დამარხული საიდუმლოს მსურდა წაკითხვა.
მაპატიე, თუ დაივიწყე ჩემი სახელი? _
სულ არაფერი მიპასუხე, სულ არაფერი.

* * *

შემინდე! ძველი დროიდან ერთი
საღამო მახსოვს ფერარგამკრთალი _
შენი ოთახი, შენ და სიჩუმე
და მობრიალე ბუხარში ალი.

მთენთავდა ცეცხლი ფიქრებში წასულს,
ალი ჯადოსნურ წრეებს ქარგავდა
და მოჭარბებულ ბედნიერებას
რატომღაც მწარე გემო დაჰკრავდა.

რად ვყოყმანობდი მიზანთან ახლოს?
დღემდე სიგიჟე სად დამატარებს?
რამდენ ქარბუქში და ქარიშხალში
მე შენი სითბო გამოვატარე?

სადა ხარ? ნუთუ გონდაკარგული,
ყინვით დამზრალი, სამოსზე ჭირხლით,
შენს გულთან ვდგავარ და მის კარებზე
ჩემი გვიანი კაკუნი ისმის?

* * *

მძინავს. ცაზე მუჭ-მუჭად
გაზაფხულის ხუჭუჭა
ღრუბლები ირევიან.
მათი ცელქი ჩრდილები,
მწკრივად გაწელილები,
მინდვრებს მიუყვებიან.

მიირბინეს ტბორამდე,
როგორც გულისსწორამდე
და გარემოც გაბრწყინდა,
უკვე არა ქუფრები _
სიფრიფანა ღრუბლები
მიყურებენ ფანჯრიდან.

მძინავს. გამოკიდულან
გაუმჭვირვალ ქსოვილად
ოცნებები მწუხარი;
უცებ ღრუბლის ქულიდან

ღიმილს მაფრქვევს გულითადს
ეგ სახე სანუკვარი.

* * *

იქნებ ისწავლო მუხისაგან, არყის ხისაგან:
შეხედე! უჩანთ ნაფლეთებად კანი დამსკდარი,
ტოტებზე ჭირხლი გასჩენიათ ცრემლის ღვრისაგან _
რა გაეწყობა: უწყალოა თეთრი ზამთარი.

ყოველდღიურად უფრო მეტად ავდება ქარი,
უკანასკნელი ფოთლებიც კი თოვლში არია,
ყინვა ქვას ხეთქავს: სიცოცხლეა თითქმის ჩამკვდარი,
ხეები მაინც ითმენენ და ჩუმად არიან.

შენც ითმინე და გაზაფხულის მოსვლის იწამე,
შემობრძანდება _ თან მოიტანს სიცოცხლის სუნთქვას,
სითბოს, სინათლეს და იმედებს მოჰფენს მიწაზე
და სიხარული ეღირსება მწუხარე სულსაც.

ნიკოლოზ ნეკრასოვი

* * *

ყოველ წუთს მზად ვართ ასაფეთქებლად,
არსათქმელიც კი რამდენჯერ გვითქვამს,
ვჩხუბობთ, აწვება სისხლი საფეთქლებს
და შვებას გვაძლევს უხეში სიტყვა.

თქვი, თუ ტკივილით გული სავსეა,
თქვი გაბედულად, რაც კი გწყენია,
საოცარია, მაგრამ ასეა, _
სიმშვიდე უფრო მოსაწყენია.

და თუ თან ახლავს სიყვარულს პროზა,
ბედნიერება ვიპოვოთ მასშიც,
სითბოს, სინაზეს და თანაგრძნობას
შერიგებისას სულ სხვა აქვს ფასი.

ივანე ტურგენევი

გზაში

დილა ნისლიანი, დილა ნაცრისფერი,
მწუხარე მინდვრები, თოვლით დაფარული,
ერთად გაგონდება ახლა ყველაფერი,
რაც უკვე გეგონა გულში დამარხული.

იხსენებ მის სახეს და მზერას ნათელს,
მღელვარე საუბრებს, ეჭვსა და ტკივილს,
შეხვედრას პირველსა და უკანასკნელს,
და განშორებისას უცნაურ ღიმილს.

ბევრ რამეს იგონებ შორეულს, ძვირფასს,
როდესაც ბორბლების ყრუ ხმაურს ისმენ,
ფიქრობ და სიტყვაც კი ვერვისთვის გითქვამს
და მზერა გაგირბის მაღალი ცისკენ.

ანა ახმატოვა

* * *

თქვა, რომ მის თვალში მეტოქე არ მყავს,
რომ მიწიერი კი არ ვარ ქალი,
არამედ ზამთრის მზის სხივი ვარ და
ლაღი სიმღერა მშობლიურ მხარის.

როცა მოვკვდები, კი არ იგლოვებს,
მკვდრეთით აღდგომას არ მთხოვს უმწეოდ,
არამედ იგრძნობს: არ ეცხოვრება
სულს უსიმღეროდ, სხეულს _ უმზეოდ.

... ახლა კი რაღა?

***

***

ვუყურებ დროშას გამოხუნებულს,
ქალაქს _ დაბურულს ყვითელი ნისლით,
სუნთქვა მეკვრის და გული მელევა,
ძლივსღა მოძრაობს ძარღვებში სისხლი.

ნეტავი, ვიყო პატარა გოგო,
ქოშებში მედგას ფეხი შიშველი,
თავზე მეხვიოს თმები გვირგვინად,
სიმღერისაგან მტკიოდეს ყელი.

პარმაღზე მდგომი, ვუცქერდე ისევ
ხერსონის ტაძრის მშვენიერებას
და არ ვიცოდე, როგორ აბერებს
გულს დიდება და ბედნიერება.

* * *

ო, რა იქნება, დამმარხე, ქარო,
ახლობელთაგან არვინ მოვიდა,
ჩემს გვერდით მხოლოდ სუნთქვაა მიწის
და მონაქროლი სიო შორიდან.

ერთ დროს მეც ვიყავ თავისუფალი,
ვერ ვერეოდი სიცოცხლის წყურვილს,
ახლა კი გდია ჩემი ცხედარი
და უკანასკნელს შენ განდობ სურვილს.

დაფარე ჩემი შავი ჭრილობა
საღამოს ბინდის ნაზი სალბუნით,
სთხოვე ცისფერ ნისლს, რომ წაიკითხოს,
როგორც წესია, ჩემთვის ფსალმუნი,

რომ მარტოდმარტო, ადვილად შევხვდე
მარადი ძილის მხარეზე ფიქრებს,
აახმიანე მაღალი ისლი,
ჩემს გაზაფხულზე იმღეროს იქნებ.

სიმღერა

მზის ამოსვლას ველოდები,
სიყვარულზე ვმღერი,
ბოსტანში ვარ დაჩოქილი
და შიშველი ხელით

მიწიდან ვგლეჯ (მაპატიოს!)
ბალახს სარეველას,
წნულ ღობესთან მოთქმით ტირის
გოგო ფეხშიშველა.

მეშინია ამ ქვითინის,
მეწურება გული,
ბოსტანში დგას მომაკვდავი
სარეველას სუნი.

პურის ნაცვლად ქვა მერგება
ბედის განაჩენით,
მაღლა მხოლოდ ლურჯი ცაა,
ჩემთან კი _ ხმა შენი.

შფოთვა

1
მკვეთრი სინათლე როგორღაც გღლიდა.
თვალებში ედგა მზის სხივი მწველი.
მყისვე ვიგრძენი: მას შეუძლია,
გადამავიწყოს ქვეყანა მთელი.

გადმოიხარა _ რაღაცას იტყვის...
დავკარგე ფერი, აღმომხდა კვნესა.
დაე, საფლავის ქვად დაეხუროს
ეს სიყვარული სიცოცხლეს ჩემსას.

2
არ გიყვარვარ და არ გსურს, მიყურო?
რა ლამაზი ხარ, დაგწყევლოს ღმერთმა!
მე უკვე ფრენა არ შემიძლია,
თუმც ბავშობიდან ფრთოსანი მერქვა.

თვალთ მიბნელდება. სახეებს, საგნებს
გადაეფარა ნისლი რიოში,
ბრდღვიალებს მხოლოდ წითელი ტიტა,
წითელი ტიტა შენს ღილკილოში.

3
ჩემთან მოხვედი და გამიღიმე,
როგორც, უბრალოდ, ზრდილობა ითხოვს,
დაიხარე და ხელზე ალერსით,
თან დაზარებით მემთხვიე თითქოს.

ო, შენს თვალებში რაღაც ძველებურს,
რაღაც იდუმალს იგრძნობ უცილოდ ...
ათი წლის სევდა, ყვირილი, კვნესა
და ყველა ჩემი ღამე უძილო

მე მოვაქციე სულ ერთ სიტყვაში,
ვთქვი და ... ამაო გამოდგა გარჯა.
წახვედი. გულში ისევ სიცხადე
და ცარიელი ადგილი დარჩა.

სიყვარული

ხან გველივით მზერით გნუსხავს
ჯადოქარი გრძნეული,
ხან ღუღუნებს ფანჯარასთან,
როგორც მტრედი ეული.

თრთვილში ბრწყინავს და მდელოებს
ყვავილებით გიქარგავს,
მაგრამ ძილს და მოსვენებას
უცილობლად გიკარგავს.

ხშირად ისმის მისი ლოცვა
ვიოლინოს ტირილში
და გაშინებს, როცა მოჩანს
ჯერ სულ უცნობ ღიმილში.

* * *

გზა წვიმისგან ლაპლაპებდა,
ქარი ურჩობდა,
გაცილების ნება მთხოვა
ვიღაც უცნობმა.

დავთანხმდი და დამავიწყდა
მისთვის შეხედვა,
მერე დიდხანს მის ნაკვალევს
სული ეძებდა.

ქუჩა ჩანდა ნისლში, როგორც
გუნდრუკნაკმევი,
მის ღიღინში კი ისმოდა
სტეპის ჰანგები.

ახლაც მახსოვს ძველ ჭიშკართან
გზის დასასრული,
სიმღერებით ამიშალა
დარდი ფარული.

ღვიძლ ძმასავით მომაწოდა
ჯვარი სპილენძის,
შემარყია, შემირხია
გულში სიმები.

შეჩერებაც ვერ მოვასწარ,
დავიგვიანე,
სად ხარ, ჩემო თანამგზავრო,
შემეხმიანე!

* * *

უკვე დაეშვა დუმილის ფარდა
და სიყვარულიც ხელში მიქრება,
ერთი იმედით ნაკლები დამრჩა, _
ერთი სიმღერით მეტი იქნება.

ისიც იქცევა დაცინვის საგნად
(ბრბოს სხვის გრძნობებზე უყვარს ქილიკი!),
სულში კი მეფობს ტკივილი, რადგან
აღარ ბილიკობს შენსკენ ბილიკი.

* * *

ოცდაერთი რიცხვი. ორშაბათი. ღამე.
სიზმარეულ ნისლში გახვეული ქალაქი.
ამიხსენით ვინმემ, ო, მითხარით რამე,_
ვინ შეთხზა, რომ არის სიყვარული მარადი.

უსაქმობის გამო ეს იწამა ყველამ
და გონების საღ ხმას აღარავინ იგონებს,
სიყვარული უნდათ, სიყვარულის სჯერათ,

სიყვარულზე წერენ გულისმომკვლელ სტრიქონებს.

დაინახა ცოტამ ამ ყველაფრის მიღმა _
სიყვარულის მითი ხალხის მონაგონია...
მეც შემთხვევით ამას გადამყარა ფიქრმა
და მას შემდეგ თავი ავადმყოფი მგონია.

* * *

გემალები. უშენობას მიქარვებს
სივრცე ნაირფერადი.
განშორებას გადავიტან როგორმე,
შეხვედრას კი _ ვერასგზით.

განხეთქილება

1

არა დღეებმა, არა თვეებმა,
ჩვენ განშორების წლებმა დაგვღალა,
ძვირად დაგვიჯდა თავისუფლება _
საფეთქლებს ამკობს უკვე ჭაღარა.

ბოლო მოეღო გაცვლას, გაცემას
და აღარ ისმენ უკვე დილამდე,
როგორ იქცევა თავისმართლებად
უდარებელი ჩემი სიმართლე.

2

როგორც ეს ხდება განშორებისას,
მოგვაგონდება შეხვედრის ჟამი,
უკანასკნელად იმღერებს ჩიტი,
გასპეტაკდება ყოველი წამი.

თუმც სიხარული წარსულს მიბარდა,
ყინვამ დაგვაზრო გულისგულამდის,
გაგვახსენდება, როგორ გვიყვარდა
და ერთმანეთზე როგორ ვზრუნავდით.

3. **უკანასკნელი სადღეგრძელო**

ვსვამ სადღეგრძელოს დაქცეულ სახლის,
მწარე ცხოვრების,
ერთად ყოფნისას მარტოობის,
შენთვის ბრძოლების,
ტყუილს და ღალატს ნაჩვევ ბაგის,
ცივი თვალების,
თვით ღმერთისაგან მიტოვების,
არდახმარების.

* * *

წამოსასხამქვეშ თითებს იმტვრევს. . .
"რატომ გაფითრდი?"
დარდით დავათვრე. ძლივს გადადგა
ზღურბლზე ნაბიჯი.

რამ დამავიწყოს _ სახე ჰქონდა
ტანჯვით შეშლილი.
უკან მივდევდი გონს მოსული,
გულგახეთქილი.

"არ დაიჯერო. მე ვიხუმრე.
მიყვარხარ. დარჩი".
მოტრიალდა და მშვიდად მითხრა:
"ნუ დგახარ ქარში".

* * *

სულ დაგვივიწყეს მზის სხივებმა,
ყვითლდება ბალახი
და უსიცოცხლო მინდვრებს ფარავს
ჭყაპი და ტალახი.

ვიწრო არხებში წყალმა უკვე
ხმაური შეწყვიტა
და ნაადრევი თოვლის ფიფქი
მეფრქვევა ზეციდან.

ტირიფმა ჩრდილი ჰორიზონტზე
მარაოდ გაშალა,
იქნება სჯობდა, რომ მე შენი
ცოლი არ გავმხდარვარ.

მზის ოქროსფერი ათინათი
ნატვრად მაქვს ქცეული,
ამაღამ, ალბათ, მობრძანდება
ზამთარი გრძნეული.

* * *

მეალერსება აპრილი ნაზად,
საღამო რძისფერ ნისლში ეხვევა,
თუმც მრავალი წლით დაგაგვიანდა,
მე მიხარია შენთან შეხვედრა.

მაგრამ არაა იქნებ გვიანი _
შენმა თვალებმა სულ სხვა რამ მამცნეს.
აჰა, რვეული ცისფერყდიანი
ჩემი ბავშვური ლექსებით სავსე.

მაპატიე, რომ დარდი მათრობდა,
არ შევხაროდი ნათებას მზისას,
მაპატიე, რომ ძალიან ხშირად
შენად ვიღებდი სიყვარულს სხვისას.

* * *

ღრუბლები, ნაკვეთი უხეშ საჭრეთელით
ირევიან ცაზე და თავისას წუხან
ხოლო ამ ტყე-პარკში ერთადერთი მუხა
ჯერ უღონო ყლორტთა ამწვანებას ელის.

მე მახარებს ახლა: ეს სენაკი ვიწრო,
შუაღამით ისევ ცისკრის სხივთა ფენა,
ო, რა კარგად მესმის მცენარეთა ენა, _
ყველა ხე და ბუჩქი მოფერებას ითხოვს.

მე მახარებს ახლა: ამ ტყე-ღრეში ყოფნა,
რაღაც მშვენიერზე მომღერალი ჩიტი,
უბადრუკი, ოდნავ ჩაზნექილი ხიდი
და ისიც, რომ დიდხანს არ მომიწევს მოცდა.

* * *

სულ უბრალოდ და მარტივად ვცხოვრობ,
ცას ვუცქერ და ღმერთს მადლობას ვუხდი,
ოღონდ ძილის წინ ვსეირნობ დიდხანს,
რომ მოვერიო უაზრო წუხილს.

ხრამში შრიალებს ოროვანდები,
ცირცელს მტევნების სიმძიმე ღუნავს,
მე კი ლექსებით ვეხმიანები
ცხოვრების სწრაფ და ცვალებად ბრუნვას.

ხელებს მილოკავს ფუმფულა ფისო.
ვბრუნდები. ვრითმავ ამბავს მოგონილს
და, ტბის ნაპირებს გადანთებული,
წითლად ანათებს ღამეს კოცონი.

მხოლოდ ხანდახან სიჩუმეს გაჰკვეთს
ყარყატი. გულმა კი რა იღონოს?
ახლა კარებზე შენი კაკუნი
მე, შეიძლება, ვერც გავიგონო.

* * *

მოკლე და მკვეთრი მისი სახელი
მესმის. მუხლები მეკვეთებიან,
ხოლო თვალები ღამენათევი,
შეგვიბრალეო, მევედრებიან.

დავხეტიალობ. ბილიკს დავეძებ
მოჭრილ მორებში, მინდვრებზე, ხნულზე,
ნიავს კი ახლავს ის სურნელება,
როგორც სჩვევია მას გაზაფხულზე.

აღარ მიდგება გული საგულეს,
ფიქრით დავყვები შორეულ გზებზე:
ის ცოცხალია, ის მხიარულობს,
ის ბედავს, სულაც არ წუხდეს ჩემზე.

* * *

უკანასკნელად შევხვდით მაშინ სანაპიროზე,
ნევასთან ახლოს _ როგორც ყოველთვის,
ლაპარაკობდი ზაფხულზე და იმაზე, თუ რა
უაზრობაა ქალი-პოეტი.

ო, როგორ მახსოვს პეტრე-პავლეს ციხესიმაგრე,
მეფის სასახლე _ გუმბათმაღალი.
ქალაქში რაღაც საოცარი იდგა სინათლე
და მაღლდებოდა ნევაში წყალი.

მეჩვენებოდა, თითქოს გულმა შეწყვიტა ძგერა,
ხოლო გარემო სამოთხეს ჰგავდა
და მე ვმღეროდი უკანასკნელ შეშლილ სიმღერას,
ვაი, რომ შენი დაკარგვის ფასად.

* * *

სულერთია, სად მოვიწყენ _
მოწყენისთვის არ არსებობს ზღუდე.
ბორცვის ძირას წისქვილი თვლემს
და აქ წლობით შეიძლება დუმდე.

დასტრიალებს აბრეშუმას
ფუტკარი და ბზუილით კვეთს სივრცეს,
ტბორთან ვდგავარ, ალს ვეძახი,
ის კი უკვე მკვდარიაო, მითხრეს.

ტბორი, ყლარტით დაფარული,
დამშრალია, ენატრება ნამი,
მოცახცახე ვერხვის ფოთლებს
მთვარის შუქი ავარაყებს ღამით.

ვეღარა ვცნობ აქ ვერაფერს,
ალვა ცრემლებს მარგალიტად ისხამს.
ვდგავარ, ვდუმვარ და მზადა ვარ,
თუნდ ახლავე შევუერთდე მიწას.

ღამით

მთვარე ძლივს მოჩანს, ღრუბლის ფთილები
დასეირნობენ ცაზე ტაატით
და მოღუშული ღამის გუშაგი
ისრებს შეჰყურებს კოშკის საათის.

ერთგულ ცოლს აფრთხობს ღამის სიჩუმე
და ჩაუქრობელ წუხილით იწვის,
მოღალატე კი სახლში ბრუნდება
ცივი სახით და ტყუილი ფიცით.

მე მათ გრძნობებთან მესაქმება? _
გამოვეთხოვე უკვე სამყაროს.
ბაღში დავჯდები, რომ ჩანგს შევეხო
და ვარსკვლავები ცაზე დავთვალო.

* * *

ის გვატყვევებდა გაუწაფავ, მარტივ ჰანგებით
და ოდითგანვე სიყვარული სახელად ერქვა.
უცნაურია, სულ ახლახან, რაღაც განგებით,
შენგან შორს იყო თმაში ვერცხლი და გულში _ სევდა.

ის იცინოდა შენს ბაღებში, სახლში, ველებზე,
შეჰხაროდი და სამუდამოდ რაცხდი მეგობრად,
სულ ვერ ამჩნევდი მოოქროვილ ბორკილს ხელებზე,
თავისუფალი საკუთარი თავი გეგონა.

შენ შუქს აფრქვევდი, სანამ მისი მონა იყავი,
გაბრუებული, მის საწამლავს სვამდი შარბათად,
გეჩვენებოდა უფრო დიდი ყველა ვარსკვლავი,
სულ სხვანაირი სუნი ჰქონდა შემჭკნარ ბალახსაც,
შემოდგომის შემჭკნარ ბალახსაც.

უკანასკნელი შეხვედრის სიმღერა

გულში რაღაც იმსხვრეოდა, მაგრამ მაინც
ვცადე მშვიდად დარჩენა,
ერთმანეთში ავურიე ხელთათმანი
მარჯვენა და მარცხენა.

მომეჩვენა ერთიორად უფრო მეტი
კიბის საფეხურები,
შემოდგომის ნეკერჩხლებმაც მიწილადეს
მწუხარება ულევი.

თქვეს, რომ ბედმა უკუღმართმა მოატყუათ,
დაავიწყათ სიცილი,
მენიშნა და ვუპასუხე, რომ მინდოდა
მათთან ერთად სიკვდილი.

სახლს გავხედე ჩაბნელებულს, დამწუხრებულს
განშორების სიმღერით,
საწოლ ოთახს ანათებდა მხოლოდ მკრთალად
სანთლის შუქი ყვითელი.

* * *

გული გულზე მიჯაჭვული არ გეგონოს,
შეგიძლია დამტოვო,
ბედნიერი ის იქნება ალბათ მხოლოდ,
ვინც წარსულზე არ გლოვობს.

არა ვჩივი, დამრჩენია მხოლოდ ლოცვა,
ლოცვა სასომიხდილი,
დავიღალე, აღარ მინდა შენი კოცნა,
აწ მაკოცებს სიკვდილი.

შევუწყვილე ზამთრის დღეებს მწარე დარდი,
დარდი, ჩემთვის ჩვეული,
რატომა ხარ, რატომა ხარ უფრო კარგი,
ვიდრე ჩემი რჩეული?

* * *

ნაცრისფერ თვალთა ცივ მზერას ვხედავ,
მოგონებებით კვლავ თავს ვიწამებ
და მახსენდებით მწარე ნაღველით
განმარტოებულს ტვერის მიწაზე.

თქვენ მანდ ტყვედ ყავხართ მშვენიერ ხელებს,
მე გადმოვყევი აქეთ გრიგალებს,
თქვენ ხომ, არც მეტი და არც ნაკლები,
თვით სიყვარულის მოკვლა მიბრძანეთ.

ჩემო ცნობილო თანამედროვევ,
თქვენ თქვით, რომ ჩვენი ჟამი წავიდა,
მე უღონო ვარ, სისხლი კი ბორგავს
და სათქმელს ისევ ვიწყებ თავიდან.

მე თუ მოვკვდები, რატომ არ ფიქრობთ,
ვინღა გიმღერებთ მწუხრის სიმღერებს,
ვინღა მოგიძღვნით ლექსებს ჩემს ნაცვლად,
ჯერ უთქმელ სიტყვებს ვინ ააჟღერებს?

* * *

ო, მე სიყვარულს არა გთხოვ უკვე –
ის საიმედო ადგილას არის.
არც შენს საცოლეს არ შეაწუხებს
ეჭვები შენგან წასული ქალის.

ოღონდ ერთ რჩევას მოგცემ მეგობრულს
(საქმროს ზრდილობა ყოველთვის შვენის!):
მას წააკითხე ჩემი ლექსები,
დე, შეინახოს პორტრეტიც ჩემი!

ამ სულელ ქალებს ახარებთ მხოლოდ
დამარცხებული მეტოქის ხილვა,
ხოლო პირველი ნაზი დღეების
მოგონებანი არ უღირთ ჩირად.

...და როს ცხოვრება ახალ სატრფოსთან
ველარ მოგიკლავს უგონო წყურვილს,
როს მოიყირჭებს ყველაფერს ერთად
კმაყოფილი და მაძღარი სული,

ნუ შეაშფოთებ ღამეებს ჩემსას,
ნუ მოხვალ _ მე შენ არ გიცნობ სულაც
და სენისაგან '"ბედნიერება",
გულითაც მსურდეს, მე ვერ განგკურნავ.

განაჩენი

სიტყვა _ სასტიკი, ცივი და ბასრი
ჯერ ცოცხალ გულზე დამეცა ლოდად,
მე გადავიტან. ამას ველოდი
და არც არაფრის იმედი მქონდა.

დღეს ბევრი საქმე მელის. დღეს უნდა
წავშალო, რაც კი ახსოვს გონებას,
მთლად გავიქვავო სული და გული,
მერე ვისწავლო ისევ ცხოვრება.

გარეთ კი უდგას ზეიმი ზაფხულს,
ფანჯრის მინაში მზის სხივი ბრწყინავს...
დიდი ხანია, გული ხედავდა
ამ ნათელ დღეს და ცარიელ ბინას.

* * *

მე იშვიათად გიგონებ ახლა,
შენს ბედს არა ვჭვრეტ, როგორც მისანი,
იმ უმნიშვნელო შეხვედრამ შენთან
გულს დააჩნია მაინც ნიშანი.

განგებ გვერდს ვუვლი შენს წითელ სახლს და
მღვრიე მდინარეც თავისთვის ღელავს,
მზით გაჯერებულ სიმშვიდეს მაინც
მწარედ გიშფოთებ _ ვიცი და მჯერა.

შენ არ ხარ კაცი, ვისაც ვუყვარდი,
სწვავდა სურვილი ჩემი შეხების,
არც ის კაცი ხარ, ვინც ჩემი ტანჯვა
მოავარაყა ოქროს ლექსებით,

მაგრამ მომავლის ანარეკლს ვხედავ,
როს ცისფერ სამოსს საღამო იცვამს
და ხელმეორე ჩვენი შეხვედრის
გარდუვალობას მე გული მითქვამს.

* * *

ახალმთვარობის ღამეს დამტოვა,
ერთადერთი რამ წასვლისას მკითხა:
როგორ ვიცეკვებ აწი ბაგირზე,
ანდა უმისოდ თუ გავძლებ დიდხანს.

მე ვუპასუხე, ვით ძმას საყვარელს,
მშვიდად, გარეშე ცრემლის ღვარღვარის,
რომ დანაკარგს ვერ შემიმსუბუქებს
ოთხი ლაბადა ახალთახალი.

სახიფათოა ჩემი გზა, მაგრამ
უფრო საშიში სევდის გზა არის,
მხიარულ ჰანგებს ორკესტრი უკრავს
და იღიმება ბაგე მრავალი.

პრიალებს ჩემი ფეხსაცმელები,
ბრდღვიალებს ჩემი ჩინური ქოლგა,
გულმა კი იცის, გულმა კი იცის _
ცარიელია მეხუთე ლოჟა.

* * *

ვიცი: არცა წყალს, არცა ტკბილ ღვინოს
არასდროს დავლევთ ერთი ჭიქიდან,
არ დავიძინებთ ერთ ჭერქვეშ ღამე,
ამბორს ვერ ვუძღვნით ერთურთს ცისკრისას.
შენ მზითა სუნთქავ, მე ვსუნთქავ მთვარით,
მაგრამ ორივე ტრფობით ვართ მთვრალი.

შენ მხიარული სატრფო გყავს გვერდით,
მე _ მეგობარი ერთგული, ნაზი,
მაგრამ თვალებში შიშის კვალს გამჩნევ
და მას ნაცნობი ბეჭედი აზის.
სულ ერთი წამით ერთმანეთს ვხვდებით,
თავს არა ვკარგავთ უგონო ვნებით.

მაგრამ შენს ლექსში სუნთქვაა ჩემი,
ხოლო ჩემსაში _ შენი ხმა ისმის,
ხომ არის ცეცხლი, რომ ვერ ჩააქრობს
დრო, დავიწყება, რაღაცის შიში.
სულ მახსოვს (ხსოვნას ვერ ვეურჩები!)
ეგ ვარდისფერი, მშრალი ტუჩები.

* * *

ბევრს ითხოვს სატრფო. არაფერს არ გთხოვს
მიტოვებული ოდესღაც ქალი.
მე მიხარია, რომ გამჭვირვალე
ყინულქვეშ აღარ ხმაურობს წყალი.

ფეხით შევდგები მყიფე საფარზე,
მხოლოდ უფალსღა შევთხოვ წყალობას,
შენ კი მიხედე წერილებს ჩემსას _
დაე, განგვსაჯოს შთამომავლობამ,

შენზე _ ესოდენ ბრძენზე, გულადზე
რომ წარმოდგენა ჰქონდეს ნათელი...
მაგ შენს დიდებულ ბიოგრაფიას
ვით ეკადრება თეთრი ლაქები.

ვერ გავექეცით მიწიერ ვნებებს,
სასიყვარულო მჭიდროა ქსელი.
სკოლაში, წიგნში ამოიკითხონ,
დაე, ბავშვებმა ჩემი სახელი.

დაე, გაეცნონ სევდიან ამბავს
და გაიღიმონ ანცად ან კრძალვით _
ბედნიერება თუ არ მაღირსე,
მაჩუქე მწარე დიდება მაინც.

* * *

მას მპირდებოდა სუყველაფერი:
სევადიანი ცის კიდე მქრქალი,
შობის დღეების სიზმრები ტკბილი,
მრავალხმიანი აღდგომის ზარი.

მას მპირდებოდნენ: ვაზის ლერწები,
ჩანჩქერი პარკში, სხივები მთვარის
და, ბოლოს, ორი დიდი ჭრიჭინა,
თუჯის ჟანგიან მესერზე მჯდარი.

იმეგობრებდა ჩემთან უთუოდ _
უკვე ვიცოდი, უკვე ვხვდებოდი,
გავარვარებულ ქვიან ბილიკით
როცა მთის ფერდობს მივუყვებოდი.

* * *

ცეცხლს მივეფიცხე გათოშილი,
მომედო რული,
ვერ შევამჩნიე, ვერ გავფრთხილდი, _
მომპარეს გული.

ყელყელაობენ საახალწლო
ვარდები სველი,
ჭრიჭინობელა კი ჩემს გულში
აღარა მღერის.

ქურდი თვალებით გამოვიცან
და მიპყრობს შიში,
ვაითუ, უკან დამიბრუნოს
ნადავლი თვისი.

* * *

სულ სხვანაირი წლები მოდიან,
ვინღა მოისმენს ახლა სიმღერებს,
შენ კი წკრიალებ მაინც ზარივით,
რაც უნდა გითხრა, არ დამიჯერებ.

აგერ ახლახან, როგორც მერცხალი,
ზეცას სერავდი ფრთების ფათქუნით,
დღეს კი მათხოვრობ და არვის ესმის
უცხო კარებზე შენი კაკუნი.

სერგეი ესენინი

* * *

"მშვიდობით იყავ", _ ყვავილები ჩამჩურჩულებენ,
თან მორცხვად ხრიან მიწისკენ თვალებს,
მეუბნებიან, რომ შენს სახეს ვეღარ ვიხილავ,
ვეღარ ვიხილავ სამშობლო მხარეს.

რა გაეწყობა, ჩემო კარგო, რა გაეწყობა,
მე უკვე ვნახე დედამიწაც, ყვავილთ მშვენებაც,
ამიერიდან სასიკვდილო ციებ-ცხელება,
ვიცი, მე მხოლოდ ნაზ ალერსად მომეჩვენება.

სწორედ იმიტომ, რომ შევიცან სიცოცხლის მადლი,
გაღიმებულმა ჩავუარე გვერდით ცხოვრებას,_
მე ვიმეორებ: არაფერი არ იკარგება,
ამქვეყნად, ალბათ, ყველაფერი განმეორდება.

მე არ ვიქნები? სულ ერთია, სხვა ვინმე მოვა
(წარსულ დროს ვეღარ დააბრუნებს სევდა-ნაღველი),
სხვა ვინმე მოვა და იმღერებს ახალ სიმღერას,
უფრო უკეთესს, ვიდრე იყო ჩემი ნამღერი!

საღამოს ბინდში შენ მოისმენ მგოსნის სიმღერას,
ტკბილი ჰანგები გაგახსენებს დღეებს გაფრენილს
და, უკვე ახალ სიყვარულით გატაცებული,
მეც მომიგონებ, როგორც ყვავილს, ფურცლებდაცვენილს.

პოლ ვერლენი

სახურავზე უღრუბლო ცა...

სახურავზე უღრუბლო ცა
ლურჯ ანარეკლს ტოვებს,
სახურავთან ხე ირწევა,
ანანავებს რტოებს.

ხეზე ჩიტი ტკბილად მღერის,
ზარი რეკავს ციდან,
ო, ეს შფოთვა დამქანცველი
მოდის ქალაქიდან.

აქ კი სულ სხვა სამყაროა,
მარტივი და მშვიდი,
მადლობა ღმერთს, აქ ცხოვრება
თავისი გზით მიდის.

_ ეს რა ჰქენი? ღამეებთან
ცრემლს რომ ინაწილებ,
რა უყავი, სად წავიდა
შენი სიყმაწვილე?

გიიომ აპოლინერი

მირაბოს ხიდი

მირაბოს ხიდქვეშ, მირაბოს ხიდქვეშ მიღელავს სენა,
ჩვენი გრძნობებიც
თან მიჰყვება მდინარის დენას
და სანამ მოვა სიხარული, ჯერ მოდის წყენა.

შემოღამების ზარი რეკავს ბოლოს და ბოლოს,
დღეები რბიან, დრო მიდის და მე მაინც ვცხოვრობ.

ხელი ხელს მივცეთ, ერთმანეთის პირისპირ დავრჩეთ,
მაშინ როდესაც
გადაჯაჭვულ მკლავების თაღქვეშ
დაღლილი ტალღა მდინარის წყნარ ზედაპირს არხევს.

შემოღამების ზარი რეკავს ბოლოს და ბოლოს,

დღეები რბიან, დრო მიდის და მე მაინც ვცხოვრობ.

და სიყვარულიც, ვით მდინარე, მიედინება,
მასაც არ ინდობს
ამ ცხოვრების მდოვრე დინება,
მხოლოდ იმედი ცოცხლობს გულში, არ ეძინება.

შემოღამების ზარი რეკავს ბოლოს და ბოლოს,
დღეები რბიან, დრო მიდის და მე მაინც ვცხოვრობ.

არც სიყვარული, არც დღეები გარდასულები
არ ბრუნდებიან,
ხუნდებიან გაზაფხულები
და კვირტთა სკდომას ენაცვლება ფოთოლთა ცვენა...
მირაბოს ხიდქვეშ ძველებურად ირწევა სენა.

შემოღამების ზარი რეკავს ბოლოს და ბოლოს,
დღეები რბიან, დრო მიდის და მე მაინც ვცხოვრობ.

ჟაკ პრევერი

საუზმე

ფინჯანში
ყავა დაასხა
ყავიან ფინჯანში
რძე ჩაამატა
რძიან ყავაში
შაქარი ჩაყარა
პატარა კოვზით
მოურია
ყავა დალია
ფინჯანი
უსიტყვოდ
დადგა
სიგარეტს
მოუკიდა
კვამლის
რგოლები გამოუშვა
ფერფლი
საფერფლეში ჩაყარა

უხმოდ

თავაუღებლად
ადგა
ქუდი დაიხურა
საწვიმარი ჩაიცვა
ვინაიდან წვიმდა
წვიმაში გავიდა
ხმა არ გაუცია
არ შემოუხედავს
მე კი თავი
ხელებში ჩავრგე
და ავტირდი

როგორ უნდა დახატო ჩიტის პორტრეტი

ჯერ დახატე
კარღია გალია
მერე დახატე
რაიმე ლამაზი
რაიმე მარტივი
რაიმე მიმზიდველი
რაიმე სასარგებლო
ჩიტისათვის
მერე ტილო ხეზე მიამაგრე
ბაღში
ტყეში
ჭალაში
თვითონ კი ხეს მოეფარე
არ გაინძრე
არ იხმაურო
ჩიტი ხან ჩქარა მოფრინდება
ხან კი წლობით გალოდინებს
სანამ გამოჩენას ინებებს

ლოდინისას
მხნეობა არ დაკარგო
ელოდე თუნდაც წლობით
ჩიტის მოფრენამდე გასული დრო
პორტრეტის ღირსებაზე არაა
დამოკიდებული
ჩიტი რომ მოფრინდება
(თუ მოფრინდება)
დააკვირდი უძირო სიჩუმეს
დაიცადე სანამ ის გალიაში შევა

და როცა შევა
კარი ფუნჯით ფრთხილად მიკეტე
მერე სათითაოდ წაშალე
ყველა გისოსი
ისე რომ ჩიტის ერთი ბუმბულიც არ შეარხიო
მერე დახატე ხე
შეურჩიე ჩიტს
მისი ყველაზე ლამაზი ტოტი
დახატე აგრეთვე ფოთლების სიმწვანე
ქარის სიგრილე
მზის ათინათი
და ზაფხულის ხვატში

ბალახში მოფუთფუთე მწერების ხმები
შემდეგ კი დაელოდე
როდის დაიწყებს ჩიტი გალობას
თუ ჩიტი არ გალობს
ეს ცუდი ნიშანია
ნიშანი იმისა რომ პორტრეტი არ გამოვიდა
მაგრამ თუ ის გალობს ეს კარგი ნიშანია
ნიშანი იმისა რომ პორტრეტი დასრულებულია
მაშინ ძალიან ფრთხილად ამოაძვრე
ჩიტს ერთი ბუმბული
და სურათს კუთხეში შენი სახელი მიაწერე

ს ა რ ჩ ე ვ ი

დედოფლის მონოლოგი

დედოფლის მონოლოგი
*(უკვე დაზამთრდა და კარადებში...)
*(გასაგებია...)
*(მიდის ცხოვრება _ ხან ბობოქარი...)
*(მოიზლაზნება ტყიდან საღამო...)
*(არ გვანებივრებს ხშირად ცხოვრება...)
*(დღეს მაშინდელი წვიმებიც მათბობს...)
*(არ იგონებ ზოგჯერ დღეებს...)
ერთი ლექსის გამო
*(ოცდამეერთე საუკუნეა...)
*(არც მეწყერი მოვარდნილი...)
შემოდგომა
სიყვარულის ფრაგმენტები
*(გათენებას ჩიტები ჭიკჭიკით ხვდებიან...)
*(რკალად ეკვრიან ძველისძველ მცხეთას...)
მონათხრობები
*(თაროზე იდე წყნარად და მშვიდად...)
*(შენ აუარე გვერდი დასაწყისს...)
ქალს
საყვედური
ქართველები
*(როცა უდროობის, უყურადღებობის...)
ოქტომბერი
პატარა გოგოს სიყვარული
კახეთი
*(ცხოვრებისეული გამოცდილება...)

ხელოსან პოეტს
უკანასკნელი სიმღერა
*(ახლა მანდ, შენთან, ნეტავ იგრძნობა...)
*(რა უდროო დროს შემოგაღამდა...)
დუმალას

*(ჩემი ცრემლის ხმის აღქმაზე რომ...)
*(ცისკიდურს კენტი ვარსკვლავი შვენის...)
*(ხან მზე ბრწყინავდა ცაზე, ხან_მთვარე...)
გზა
*(რაკი არ ვგავარ უმრავლესობას...)
*(რა გაოცებს?_ ხეში წყალი ჩადგა უკვე...)
*(ტყუილად გაცდნენ შენი მაყრები...)
*(გამივლია გაუკვალავ გზაზე...)
რაჭა
ზღაპარი

წარსულის გამოხმობა

*(არ დაიჯერო, რომ შევიცვალე...)
*(ხანდახან მგონია, მორჩა...)
ყველა თუ გიყვარს
მოგონება
*(შემეშინდება როცა სიცოცხლის...)
*(რა კარგი იყო ის საღამო...)
ასე რატომ ხდება
*(ერთხელ მითხარი...)
შენი ღიმილი
სიზმარი
*(მე არასოდეს დამავიწყდება...)
*(მე ბავშვობიდან წარუშლელად...)
*(შენ ახლა ეძებ გზებს გაუკვალავს...)
გაფრთხილება

*(ახლა, როდესაც მარტმა იძალა...)
*(ისე შემოჰყევ გულში გაზაფხულს...)
ახალი ათონი
თავის გამხნევების მცდელობა
ცრემლი
*(ეს შენ აქციე ჩემს საკუთრებად...)
*(იყავი ვითომ Mმშვიდი და მტკიცე...)
*(შენ ვეღარ არჩევ ცრემლსა და ღიმილს...)
სამშობლოს
*(ო, რა ძნელია, რა უაზრო...)
თარგმნისას

განშორებები (თარგმანები)

დენის დავიდოვი

*(ნუ გააღვიძებ, ნუ გააღვიძებ...)

თედორე ტიუტჩევი

უკანასკნელი სიყვარული
ბედისწერა

იაკობ პოლონსკი

ცივი სიყვარული
კოცნა

ათანასე ფეტი

პირველი შროშანა
*(არ ვიცი, რა ვუყო ნაღველს...)
*(მოვედი, რომ მოგესალმო...)
ძველი წერილები
*(ნუთუ, როდესაც კითხულობდი...)
*(ყურში მიწივის ახლაც ხმები...)
*(ჩურჩული და ჩქროლვა გულის...)
მაისის ღამე

ისევ მაისის ღამე
*(ცხოვრება წავიდა უკვალოდ...)
*(უკვე დაღამდა. როგორც იქნა...)
*(არ გამიცვლიხარ, თეთრთმიანი...)
*(ცაცხვებს შორისაც კი აღწევდა...)
*(შემინდე! ძველი დროიდან ერთი...)
*(მძინავს. ცაზე მუჭ-მუჭად...)
*(იქნებ ისწავლო მუხისაგან...)

ნიკოლოზ ნეკრასოვი

*(ყოველ წამს მზად ვართ ასაფეთქებლად...)

ივანე ტურგენევი

გზაში

ანა ახმატოვა

*(თქვა, რომ მის თვალში ...)
*(ვუყურებ დროშას გამოხუნებულს...)
*(ო, რა იქნება, დამმარხე, ქარო...)
სიმღერა
შფოთვა
სიყვარული
*(გზა წვიმისგან ლაპლაპებდა...)
*(უკვე დაეშვა დუმილის ფარდა...)
*(ოცდაერთი რიცხვი. ორშაბათი. ღამე...)
*(გემალები. უშენობას მიქარვებს...)
განხეთქილება
*(წამოსასხამქვეშ თითებს იმტვრევს...)
*(სულ დაგვივიწყეს მზის სხივებმა...)
*(მეალერსება აპრილი ნაზად...)

*(ღრუბლები, ნაკვეთი უხეშ საჭრეთელით...)
*(სულ უბრალოდ და მარტივად ...)
*(მოკლე და მკვეთრი მისი სახელი...)

*(უკანასკნელად შევხვდით მაშინ...)
*(სულერთია, სად მოვიწყენ...)
ღამით
*(ის გვატყვევებდა გაუწაფავ მარტივ ...)
უკანასკნელი შეხვედრის სიმღერა
*(გული გულზე მიჯაჭვული არ გეგონოს...)
*(ნაცრისფერ თვალთა ცივ მზერას ვხედავ...)
*(ო, მე სიყვარულს არა გთხოვ უკვე...)
განაჩენი
*(მე იშვიათად გიგონებ ახლა...)
*(ახალმთვარობის ღამეს დამტოვა...)
*(ვიცი: არცა წყალს, არცა ტკბილ ღვინოს...)
*(ბევრს ითხოვს სატრფო...)
*(მას მპირდებოდა სუყველაფერი...)
*(ცეცხლს მივეფიცხე გათოშილი...)
*(სულ სხვანაირი წლები მოდიან...)

სერგეი ესენინი

*("მშვიდობით იყავ"...)

პოლ ვერლენი

სახურავზე უღრუბლო ცა...

გიიომ აპოლინერი

მირაბოს ხიდი

ჟაკ პრევერი

საუზმე
როგორ უნდა დახატო ჩიტის პორტრეტი

ტექნიკური რედაქტორი ზინა გვიმრაძე
ხელმოწერილია დასაბეჭდად
საბეჭდი ქაღალდი

ბეჭდვა ოფსეტური
ტირაჟი 500

გამომცემლობა "საქართველო"
თბილისი
მარჯანიშვილის №5

ლერი გამგებლის სახელობის სააქციო საზოგადოება
"პირველი სტამბა"
თბილისი, ჩუბინაშვილის 50